საჯარო ბიბლიოთეკა
თბილისი
2517

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლიტერატურული საქართველო

პარასკევი, 21 მარტი, 1941 წ. | საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის ყოველკვირეული ორგანო | № 12 (171) ფასი 30 კაპ.

ხელოვნებისა და ლიტერატურის დარგში ღირსშესანიშნავი ნაშრომებისათვის სტალინური პრემიების მიკუთვნების შესახებ

სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილება

ხელოვნებისა და ლიტერატურის დარგში უკანასკნელი 6-7 წლის პერიოდის ღირსშესანიშნავი ნაშრომებისათვის სტალინური პრემიების მიკუთვნების შესახებ სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს 1939 წ. 20 დეკემბრის და 1940 წ. 20 დეკემბრის დადგენილებათა შესასრულებლად, სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

მიეკუთვნოთ სტალინური პრემიები ღირსშესანიშნავი ნაშრომებისათვის:

ა. მუსიკის დარგში

პირველი ხარისხის პრემიები 100.000 მანეთის რაოდენობით

1. ნიკოლოზ იაკობის-ძე **მიასკოვსკის**, რუსეთის სფს რესპუბლიკის ხელოვნების დამსახურებულ მოღვაწეს, მოსკოვის პ. ი. ჩაიკოვსკის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის პროფესორს, მე-21 სიმფონიისათვის, რომელიც სრულდება 1940 წლიდან.

2. იური ალექსანდრეს-ძე **შაპორინს**, მოსკოვის პ. ი. ჩაიკოვსკის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის პროფესორს, სიმფონია-კანტატისათვის „კულიკოვოს ველზე", რომელიც სრულდება 1939 წლიდან.

3. დიმიტრი დიმიტრის-ძე **შოსტაკოვიჩს**, ლენინგრადის ლენინის ორდენოსანი სახელმწიფო კონსერვატორიის პროფესორს, საფორტეპიანო კვინტეტისათვის, რომელიც სრულდება 1940 წლიდან.

მეორე ხარისხის პრემიები 50.000 მანეთის რაოდენობით

1. ანატოლი ვასილის-ძე **ბოგატირიოვს**, ოპერისათვის „პოლესიეს ტყეში", რომელიც დაიდგა ბელორუსიის ოპერისა და ბალეტის ლენინის ორდენოსანი სახელმწიფო თეატრის სცენაზე 1940 წელს.

2. უზეირ **ჰაჯიბეკოვს**, სსრ კავშირის სახალხო არტისტს, აზერბაიჯანის სახელმწიფო კონსერვატორიის პროფესორს, ოპერისათვის „ქერ-ოღლი", რომელიც სცენაზე დაიდგა 1937 წელს.

3. გრიგოლ ბართლომეს-ძე **კილაძეს**, სიმფონიური პოემისათვის „განდეგილი", რომელიც სრულდება 1936 წლიდან.

4. ლევ ნიკოლოზის-ძე **რევუცკის**, კიევის სახელმწიფო კონსერვატორიის პროფესორს, მე-2 სიმფონიისათვის, რომელიც სრულდება 1940 წლიდან.

5. არამ ილიას-ძე **ხაჩატურიანს**, სომხეთის სს რესპუბლიკის ხელოვნების დამსახურებულ მოღვაწეს, სავიოლინო კონცერტისათვის, რომელიც სრულდება 1940 წლიდან.

ბ. ფერწერის დარგში

პირველი ხარისხის პრემიები 100.000 მანეთის რაოდენობით

1. ალექსანდრე მიხეილის-ძე **გერასიმოვს** — რუსეთის სფს რესპუბლიკის ხელოვნების დამსახურებულ მოღვაწეს, სურათისათვის „სტალინი და ვოროშილოვი კრემლში", რომელიც დამთავრდა 1938 წელს.

2. ბორის ვლადიმერის-ძე **იოჰანსონს** — სრულიად-რუსეთის სამხატვრო აკადემიის პროფესორს, სურათისათვის „ურალის ძველ ქარხანაში", რომელიც დამთავრდა 1937 წელს.

3. მიხეილ ვასილის-ძე **ნესტეროვს** — ფერწერის აკადემიკოსს, აკადემიკოს ი. პ. პავლოვის პორტრეტისათვის, რომელიც დამთავრდა 1935 წელს.

მეორე ხარისხის პრემიები 50.000 მანეთის რაოდენობით

1. ვასილ პეტრეს-ძე **ეფანოვს** — სურათისათვის „დაუვიწყარი შეხვედრა", რომელიც დამთავრდა 1938 წელს.

2. ნიკოლოზ სიმონის-ძე **სამოკიშს** — ფერწერის აკადემიკოსს, სურათისათვის „სივაშის გადასვლა", რომელიც დამთავრდა 1935 წელს.

3. მარტიროს სერგის-ძე **სარიანს** — სომხეთის სსრ სახალხო მხატვარს, ერევნის ოპერისა და ბალეტის ლენინის ორდენოსანი თეატრის სცენაზე 1939 წელს დადგმული სპენდიაროვის ოპერა „ალმასტის" გაფორმებისათვის.

4. ირაკლი მოსეს-ძე **თოიძეს** — შოთა რუსთაველის პოემა „ვეფხის ტყაოსნის" ილუსტრაციებისათვის, რაც მან 1937 წელს შეასრულა.

5. თევდორე თევდორეს-ძე **ფედოროვსკის** — სსრ კავშირის ლენინის ორდენოსანი სახელმწიფო აკადემიური დიდი თეატრის სცენაზე 1934 წელს დადგმული ბოროდინის ოპერა „თავადი იგორის" გაფორმებისათვის.

გ. ქანდაკების დარგში

პირველი ხარისხის პრემიები 100.000 მანეთის რაოდენობით

1. სერგი დიმიტრის-ძე **მერკუროვს** — სომხეთის სსრ ხელოვნების დამსახურებულ მოღვაწეს, ი. ბ. სტალინის სკულპტურული ფიგურისათვის სრულიად-საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე (1940 წ.) და ვ. ი. ლენინის სკულპტურული ფიგურისათვის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სხდომის დარბაზში (1939 წ.).

2. ვერა ეგნატეს-ასულ **მუხინას** — ქანდაკებისათვის „მუშა და კოლმეურნე-ქალი", რომელიც მან 1937 წელს დაამთავრა.

მეორე ხარისხის პრემიები 50.000 მანეთის რაოდენობით

1. ვლადიმერ იოსების-ძე **ინგალსა** და ბენიამინე იაკობის-ძე **ბოგოლიუბოვს** — ს. ორჯონიკიძის სკულპტურული ფიგურისათვის, რომელიც მათ 1937 წელს დაამთავრეს.

2. სილოვან იოაკიმეს-ძე **კაკაბაძეს** — ამხანაგ სტალინის მონუმენტისათვის, რომელიც აგებულ იქნა ქ. თბილისში 1939 წელს.

3. მათე გენრიხის-ძე **მანიზერს** — რსფსრ ხელოვნების დამსახურებულ მოღვაწეს, სრულიად-რუსეთის სამხატვრო აკადემიის პროფესორს, 1940 წელს აგებულ ვ. ი. ლენინის ძეგლისათვის ქალ. ულიანოვსკში.

4. ნიკოლოზ ვასილის-ძე **ტომსკის** — 1939 წელს ქალ. ლენინგრადში აგებული ს. მ. კიროვის ძეგლისათვის.

დ. არქიტექტურის დარგში

პირველი ხარისხის პრემიები 100.000 მანეთის რაოდენობით

1. ვლადიმერ ეგნატეს-ძე **ზაბოლოტნის** — 1939 წელს ქალ. კიევში აგებული უკრაინის სსრ უმაღლესი საბჭოს შენობის საარქიტექტურო პროექტისათვის.

2. დიმიტრი ნიკოლოზის-ძე **ჩეჩულინს** — მოსკოვის ლ. მ. კაგანოვიჩის სახელობის მეტროპოლიტენის 1935-1938 წლებში აგებული სადგურების „კიევსკაიას" და „კომკავშირელთა მოედნის" არქიტექტურული პროექტებისათვის.

3. ალექსი ვიქტორის-ძე **შჩუსევს** — არქიტექტურის აკადემიკოსს, ქალ. თბილისში 1938 წელს აგებული მარქს-ენგელს-ლენინის ინსტიტუტის შენობის არქიტექტურული პროექტისათვის.

მეორე ხარისხის პრემიები 50.000 მანეთის რაოდენობით

1. ალექსი ნიკოლოზის-ძე **დუშკინსა** და იაკობ გრიგოლის-ძე **ლიხტენბერგს** — მოსკოვის ლ. მ. კაგანოვიჩის სახელობის მეტროპოლიტენის 1935 წელს აგებული სადგურის „საბჭოების სასახლის" არქიტექტურული პროექტისათვის.

2. ბორის მიხეილის-ძე **იოფანს** — არქიტექტურის აკადემიკოსს, პარიზის 1937 წლის გამოფენის საბჭოთა პავილიონის შენობის არქიტექტურული პროექტისათვის.

3. სადიხ ალესპერის-ძე **დადაშევსა** და მიქაელ ალესკერის-ძე **ჰუსეინოვს** — 1939 წელს აგებული აზერბაიჯანის სსრ პავილიონის არქიტექტურული პროექტისათვის სრულიად-საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე ქ. მოსკოვში.

4. არჩილ გრიგოლის-ძე **ქურდიანს** — 1939 წელს აგებული საქართველოს სსრ პავილიონის არქიტექტურული პროექტისათვის სრულიად-საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე ქ. მოსკოვში.

5. არკადი გრიგოლის-ძე **მორდვინოვს** — არქიტექტურის აკადემიკოსს, გრიგოლ პავლეს-ძე **გოლცს** — არქიტექტურის აკადემიკოსს, 1940 წელს ქალ. მოსკოვში კალუგის ქუჩაზე აგებული საცხოვრებელი სახლების არქიტექტურული პროექტებისათვის.

ე. თეატრალურ-დრამატიული ხელოვნების დარგში

პირველი ხარისხის პრემიები 100.000 მანეთის რაოდენობით

1. ალა კონსტანტინეს-ასულ **ტარასოვას** — სსრ კავშირის სახალხო არტისტს, სსრ კავშირის მოსკოვის ლენინის ორდენოსანი და შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სამხატვრო აკადემიური თეატრის მსახიობს ღირსშესანიშნავი მიღწევებისათვის თეატრალურ-დრამატიული ხელოვნების დარგში.

2. აკაკი ალექსის-ძე **ხორავას** — სსრ კავშირის სახალხო არტისტს, თბილისის რუსთაველის სახელობის თეატრის მსახიობს ღირსშესანიშნავი მიღწევებისათვის თეატრალურ-დრამატიული ხელოვნების დარგში.

3. ნიკოლოზ პავლეს-ძე **ხმელიოვს** — სსრ კავშირის სახალხო არტისტს, სსრ კავშირის მოსკოვის მ. გორკის სახელობის ლენინის ორდენოსანი და შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სამხატვრო აკადემიური თეატრის მსახიობს ღირსშესანიშნავი მიღწევებისათვის თეატრალურ-დრამატიული ხელოვნების დარგში.

მეორე ხარისხის პრემიები 50.000 მანეთის რაოდენობით

1. მარიამ ივანეს-ასულ **ბაბანოვას** — რსფსრ დამსახურებულ არტისტს, მოსკოვის რევოლუციის თეატრის მსახიობს დიდი მიღწევებისათვის თეატრალურ-დრამატიული ხელოვნების დარგში.

2. ამბროსი მაქსიმილიანეს-ძე **ბუჩმას** — უკრაინის სსრ სახალხო არტისტს, კიევის ფრანკოს სახელობის ლენინის ორდენოსანი დრამატიული თეატრის მსახიობს დიდი მიღწევებისათვის თეატრალურ-დრამატიული ხელოვნების დარგში.

3. ვაგარშ ბოგდანის-ძე **ვაგარშიანს** — სომხეთის სსრ სახალხო არტისტს, ერევნის სუნდუკიანის სახელობის სახელმწიფო თეატრის მსახიობს დიდი მიღწევებისათვის თეატრალურ-დრამატიული ხელოვნების დარგში.

4. გლებ პავლეს-ძე **გლებოვს** — ბელორუსიის სს რესპუბლიკის სახალხო არტისტს, ბელორუსიის პირველი სახელმწიფო დრამატიული თეატრის მსახიობს, დიდი მიღწევებისათვის თეატრალურ-დრამატიული ხელოვნების დარგში.

5. კონსტანტინე ვასილის-ძე **სკორობოგატოვს** — რუსეთის სფს რესპუბლიკის სახალხო არტისტს, ლენინგრადის პუშკინის სახელობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი აკადემიური თეატრის მსახიობს დიდი მიღწევებისათვის თეატრალურ-დრამატიული ხელოვნების დარგში.

ვ. საოპერო ხელოვნების დარგში

პირველი ხარისხის პრემიები 100.000 მანეთის რაოდენობით

1. ვალერია ვლადიმერის-ასულ **ბარსოვას** — სსრ კავშირის სახალხო არტისტს, სსრ კავშირის ლენინის ორდენოსანი სახელმწიფო აკადემიური დიდი თეატრის მსახიობს ღირსშესანიშნავი მიღწევებისათვის თეატრალურ-ვოკალური ხელოვნების დარგში.

2. მაქსიმე დორმიდონტის-ძე **მიხაილოვს** — სსრ კავშირის სახალხო არტისტს, სსრ კავშირის ლენინის ორდენოსანი სახელმწიფო აკადემიური დიდი თეატრის მსახიობს ღირსშესანიშნავი მიღწევებისათვის თეატრალურ-ვოკალური ხელოვნების დარგში.

3. მარკოზ ოსიპის-ძე **რეიზენს** — სსრ კავშირის სახალხო არტისტს, სსრ კავშირის ლენინის ორდენოსანი სახელმწიფო აკადემიური დიდი თეატრის მსახიობს ღირსშესანიშნავი მიღწევებისათვის თეატრალურ-ვოკალური ხელოვნების დარგში.

4. ივანე სიმონის-ძე **კოზლოვსკის** — სსრ კავშირის სახალხო არტისტს, სსრ კავშირის ლენინის ორდენოსანი სახელმწიფო აკადემიური დიდი თეატრის მსახიობს ღირსშესანიშნავი მიღწევებისათვის თეატრალურ-ვოკალური ხელოვნების დარგში.

მეორე ხარისხის პრემიები 50.000 მანეთის რაოდენობით

1. ლარისა პომპეის-ასულ **ალექსანდროვსკაიას** — სსრ კავშირის სახალხო არტისტს, ბელორუსიის ოპერისა და ბალეტის ლენინის ორდენოსანი თეატრის მსახიობს დიდი მიღწევებისათვის თეატრალურ-ვოკალური ხელოვნების დარგში.

2. ზოია მიხეილის-ასულ **გაიდაის** — უკრაინის სს რესპუბლიკის სახალხო არტისტს, კიევის შევჩენკოს სახელობის ოპერისა და ბალეტის ლენინის ორდენოსანი თეატრის მსახიობს დიდი მიღწევებისათვის თეატრალურ-ვოკალური ხელოვნების დარგში.

3. სერგეი იაკობის-ძე **ლემეშევს** — რუსეთის სფს რესპუბლიკის დამსახურებულ არტისტს, სსრ კავშირის ლენინის ორდენოსანი სახელმწიფო აკადემიური დიდი თეატრის მსახიობს დიდი მიღწევებისათვის თეატრალურ-ვოკალური ხელოვნებისა და კინოხელოვნების დარგში.

4. არი მოსეს-ძე **პაზოვსკის** — სსრ კავშირის სახალხო არტისტს, გლინკას ოპერის „ივანე სუსანინის" დადგმისათვის ლენინგრადის ს. მ. კიროვის სახელობის ოპერისა და ბალეტის ლენინის ორდენოსანი თეატრის სცენაზე 1939 წელს.

5. სამუილ აბრამის-ძე **სამოსუდს** — სსრ კავშირის სახალხო არტისტს, გლინკას ოპერის „ივანე სუსანინის" დადგმისათვის სსრ კავშირის ლენინის ორდენოსანი სახელმწიფო აკადემიური დიდი თეატრის სცენაზე 1939 წელს.

6. ნატალია დიმიტრის-ასულ **შპილერს** — სსრ კავშირის ლენინის ორდენოსანი სახელმწიფო აკადემიური დიდი თეატრის მსახიობს დიდი მიღწევებისათვის თეატრალურ-ვოკალური ხელოვნების დარგში.

ზ. საბალეტო ხელოვნების დარგში

პირველი ხარისხის პრემიები 100.000 მანეთის რაოდენობით

1. ოლღა ვასილის-ასულ **ლეპეშინსკაიას** — სსრ კავშირის ლენინის ორდენოსანი სახელმწიფო აკადემიური დიდი თეატრის ბალეტის მსახიობს დიდი მიღწევებისათვის საბალეტო ხელოვნების დარგში.

2. გალინა სერგის-ასულ **ულანოვას** — რუსეთის სფს რესპუბლიკის სახალხო არტისტს, ლენინგრადის ს. მ. კიროვის სახელობის ოპერისა და ბალეტის ლენინის ორდენოსანი თეატრის ბალეტის მსახიობს ღირსშესანიშნავი მიღწევებისათვის საბალეტო ხელოვნების დარგში.

3. ვახტანგ მიხეილის-ძე **ჭაბუკიანს** — რუსეთის სფს რესპუბლიკის ხელოვნების დამსახურებულ მოღვაწეს, ლენინგრადის ს. მ. კიროვის სახელობის ოპერისა და ბალეტის ლენინის ორდენოსანი თეატრის ბალეტის მსახიობს ღირსშესანიშნავი მიღწევებისათვის საბალეტო ხელოვნების დარგში.

მეორე ხარისხის პრემიები 50.000 მანეთის რაოდენობით

1. ნატალია მიხეილის-ასულ **დუდინსკაიას** — რუსეთის სფს რესპუბლიკის დამსახურებულ არტისტს, ს. მ. კიროვის სახელობის ოპერისა და ბალეტის ლენინის ორდენოსანი თეატრის ბალეტის მსახიობს დიდი მიღწევებისათვის საბალეტო ხელოვნების დარგში.

2. ასაფ მიხეილის-ძე **მესერერს** — რუსეთის სფს რესპუბლიკის დამსახურებულ არტისტს, სსრ კავშირის ლენინის ორდენოსანი სახელმწიფო აკადემიური დიდი თეატრის მსახიობს დიდი მიღწევებისათვის საბალეტო ხელოვნების დარგში.

3. მარინე ტიმოთეს-ასულ **სემიონოვას** — რუსეთის სფს რესპუბლიკის დამსახურებულ არტისტს, სსრ კავშირის ლენინის ორდენოსანი სახელმწიფო დიდი აკადემიური თეატრის ბალეტის მსახიობს დიდი მიღწევებისათვის საბალეტო ხელოვნების დარგში.

4. იური თევდორეს-ძე **ფაიერს** — რუსეთის სფს რესპუბლიკის სახალხო არტისტს, სსრ კავშირის ლენინის ორდენოსანი სახელმწიფო აკადემიური დიდი თეატრის დირიჟორს — ბალეტის დირიჟორობის მაღალი ოსტატობისათვის.

5. თამარ **ხანუმს** — უზბეკეთის სს რესპუბლიკის სახალხო არტისტს — მაღალი ოსტატობისათვის ხალხურ ცეკვათა შესრულებაში.

თ. კინემატოგრაფიის დარგში

პირველი ხარისხის პრემიები 100.000 მანეთის რაოდენობით

1. გრიგოლ ვასილის-ძე **ალექსანდროვს**, რეჟისორს, რუსეთის სფს რესპუბლიკის ხელოვნების დამსახურებულ მოღვაწეს; ლიუბოვ პეტრეს-ასულ **ორლოვას**, რუსეთის სფს რესპუბლიკის დამსახურებულ არტისტს და ისააკ ოსიპის-ძე **დუნაევსკის** — რუსეთის სფს რესპუბლიკის ხელოვნების დამსახურებულ მოღვაწეს, კომპოზიტორს და იგორ ვლადიმერის-ძე **ილინსკის** — მსახიობს — კინოსურათებისათვის: „ცირკი", რომელიც გამოვიდა 1936 წელს, და „ვოლგა-ვოლგა", რომელიც გამოვიდა 1938 წელს.

2. სერგი დიმიტრის-ძე **ვასილიევს**, რეჟისორს, რუსეთის სფს რესპუბლიკის ხელოვ. დამსახ. მოღვაწეს, გიორგი ნიკოლოზის-ძე **ვასილიევს**, რეჟისორს, რუსეთის სფს რესპუბლიკის ხელოვნების დამსახურებულ მოღვაწეს და ბორის ანდრიას-ძე **ბაბოჩკინს**, რუსეთის სფს რესპუბლიკის სახალხო არტისტს — კინოსურათისათვის „ჩაპაევი", რომელიც გამოვიდა 1934 წელს.

3. ალექსანდრე პეტრეს-ძე **დოვჟენკოს**, რეჟისორს, უკრაინის სს რესპუბლიკის ხელოვნების დამსახურებულ მოღვაწეს, ევგენი ვალერიანეს-ძე **სამოილოვს** და ივანე თევდორეს-ძე **სკურატოვს**, მსახიობებს — კინოსურათისათვის „შჩორსი", რომელიც გამოვიდა 1939 წელს.

4. გრიგოლ მიხეილის-ძე **კოზინცევს**, რეჟისორს, ლეონიდე ზაქარიას-ძე **ტრაუბერგს**, რეჟისორს, და ბორის პეტრეს-ძე **ჩირკოვს**, რუსეთის სფს რესპუბლიკის დამსახურებულ არტისტს — კინოსურათებისათვის: „მაქსიმეს ყრმობა", „მაქსიმეს დაბრუნება" და „ვიბორგის მხარე", რომლებიც გამოვიდა 1935-1939 წლებში.

5. მიხეილ ილიას-ძე **რომს**, რეჟისორს, რუსეთის სფს რესპუბლიკის ხელოვნების დამსახურებულ მოღვაწეს, ალექსი იაკობის-ძე **კაპლერს**, კინოდრამატურგს, ბორის ვასილის-ძე **შჩუკინს**, სსრ კავშირის სახალხო არტისტს და ნიკოლოზ პავლეს-ძე **ოხლოპკოვს**, მსახიობს — კინოსურათებისათვის: „ლენინი ოქტომბერში", რომელიც გამოვიდა 1937 წელს, და „ლენინი 1918 წელს", რომელიც გამოვიდა 1939 წელს.

6. ვლადიმერ მიხეილის-ძე **პეტროვს**, რეჟისორს, რუსეთის სფს რესპუბლიკის დამსახურებულ არტისტს, ნიკოლოზ კონსტანტინეს-ძე **სიმონოვს**, რუსეთის სფს რესპუბლიკის სახალხო არტისტს, და მიხეილ ივანეს-ძე **ჟაროვს**, რუსეთის სფს რესპუბლიკის დამსახურებულ არტისტს — კინოსურათებისათვის „პეტრე პირველი" (პირველი და მეორე სერიები), რომლებიც 1937 წელს და 1939 წელს გამოვიდა.

7. ვსევოლოდ ილარიონის-ძე **პუდოვკინს**, რეჟისორს, რუსეთის სფს რესპუბლიკის ხელოვნების დამსახურებულ მოღვაწეს, მიხეილ ივანეს-ძე **დოლერს**, რეჟისორს, ბორის ნიკოლოზის-ძე **ლივანოვს**, რუსეთის სფს რესპუბლიკის სახალხო არტისტს, ალექსანდრე ალექსანდრეს-ძე **ხანოვს**, არტისტს, და ნიკოლოზ პეტრეს-ძე **ჩერკასოვს** (სერგეევს) — სურათებისათვის: „მინინი და პოჟარსკი", რომელიც 1939 წელს გამოვიდა და „სუვოროვი", რომელიც 1940 წელს გამოვიდა.

8. ივანე ალექსანდრეს-ძე **პირიევს**, რეჟისორს, ნიკოლოზ ათანასეს-ძე **კრიუჩკოვს** — არტისტს, და მარინე ალექსის ასულ **ლადინინას**, მსახიობს — კინოსურათისათვის „ტრაქტორისტები". რომელიც 1938 წელს გამოვიდა.

9. მიხეილ ედიშერის-ძე **ჭიაურელს**, რეჟისორს, საქართველოს სს რესპუბლიკის ხელოვნების დამსახურებულ მოღვაწეს, მიხეილ გიორგის-ძე **გელოვანს**, არტისტს, და სპარტაკ ლევანის-ძე **ბაღაშვილს**, არტისტს — კინოსურათებისათვის: „არსენა", რომელიც 1937 წელს გამოვიდა და „დიადი განთიადი", რომელიც 1938 წელს გამოვიდა.

10. სერგეი მიხეილის-ძე **ეიზენშტეინს**, რეჟისორს, რუსეთის სფს რესპუბლიკის ხელოვნების დამსახურებულ მოღვაწეს, პეტრე ანდრიას-ძე **პავლენკოს**, კინოდრამატურგს, ნიკოლოზ კონსტანტინეს-ძე **ჩერკასოვს**, რუსეთის სფს რესპუბლიკის სახალხო არტისტს, და ანდრია ლევის-ძე **აბრიკოსოვს**, არტისტს — კინოსურათისათვის „ალექსანდრე ნეველი", რომელიც 1938 წელს გამოვიდა.

მეორე ხარისხის პრემიები 50.000 მანეთის რაოდენობით

1. ამო ივანეს-ძე **ბეკ ნაზაროვს**, რეჟისორს, სომხეთის სს რესპუბლიკის სახალხო არტისტს, გრაჩია **ნერსესიანს**, სომხეთის სს რესპუბლიკის სახალხო არტისტს, და ავეტ **ავეტისიანს**, სომხეთის სს რესპუბლიკის სახალხო არტისტს — კინოსურათისათვის „ზანგეზური", რომელიც 1938 წელს გამოვიდა.

2. ვასილ ნიკოლოზის-ძე **ბელიაევს**, რეჟისორს, ვლადიმერ სიმონის-ძე **ემურინს**, სოლომონ იაკობის-ძე **კოგანს**, გიორგი ალექსანდრეს-ძე **სიმონოვს**, სერგეი ნიკოლოზის-ძე **ფომინს**, ფილიპე ივანეს ძე **პეჩულას**, ქრონიკის ოპერატორებს და ალექსი ნიკოლოზის-ძე **სოკოლოვსკის**, ქრონიკის ოპერატორის ასისტენტს, — კინოსურათისათვის „მანერჰაიმის ხაზი", რომელიც 1940 წელს გამოვიდა.

3. სერგი აპოლინარის-ძე **გერასიმოვს**, რეჟისორს და თამარ თედორეს-ასულ **მაკაროვას**, მსახიობს კინოსურათისათვის „მასწავლებელი", რომელიც 1939 წელს გამოვიდა.

4. ექვთიმე ლევის-ძე **ძიგანს**, რეჟისორს, დიმიტრი იაკობის-ძე **პოკრასს**, კომპოზიტორს — კინოსურათებისათვის: „ჩვენ კრონშტადტიდან ვართ", რომელიც 1936 წელს გამოვიდა და „თუ ხვალ ომი იქნა", რომელიც 1938 წელს გამოვიდა.

5. მარკოზ სიმონის-ძე **დონსკოის**, რეჟისორს, და ბარბარე ოსიპის-ასულ **მასალიტინოვას**, რუსეთის სფს რესპუბლიკის სახალხო არტისტს, კინოსურათებისათვის „გორკის ბავშვობა", რომელიც 1938 წელს გამოვიდა და „ხალხში", რომელიც 1939 წელს გამოვიდა.

6. ალექსანდრე მიხეილის-ძე **ზგურიდის**, რეჟისორს, მიხეილ გიორგის-ძე **პისკუნოვს** და გლებ ალექსანდრეს-ძე **ტროიანსკის**, ოპერატორებს, ვლადიმერ ნიკოლოზის-ძე **ლებედევს** და პეტრე ალექსანდრეს-ძე **მანტეიფელს** კონსულტანტებს — კინოსურათებისათვის: „ზღვის სიღრმეებში", რომელიც 1939 წელს გამოვიდა და „სიცოცხლის ძალა", რომელიც 1940 წელს გამოვიდა.

7. ევგენი ალექსანდრეს-ძე **ივანოვ-ბარკოვს**, რეჟისორს, ნინო ივანეს-ასულ **ალისოვას** — მსახიობს, და ალტი **კარლიევს**, მსახიობს — კინოსურათისათვის „დურსუნი", რომელიც 1940 წელს გამოვიდა.

8. ალექსანდრე ვიქტორის-ძე **ივანოვსკის**, რეჟისორს, რსფსრ ხელოვნების დამსახურებულ მოღვაწეს, ზოია ალექსის-ასულ **ფედოროვას**, მსახიობს და ერასტ პავლეს ძე **გარინს**, მსახიობს — კინოსურათისათვის „მუსიკალური ისტორია", რომელიც 1940 წელს გამოვიდა.

9. ილია პეტრეს-ძე **კოპალინს** და იოსებ მიხეილის-ძე **პოსელსკის**, რეჟისორებს, ნიკოლოზ ვასილის-ძე **ბოგომოლოვს**, ალექსანდრე პეტრეს-ძე **კოვალჩუკს**, აბრამ გრიგოლის-ძე **კრიჩევსკის**, ვსევოლოდ ლევის-ძე **კოვალჩუკს**, ვიქტორ ალექსანდრეს-ძე **შტატლანდს**, არკადი მენდელის-ძე **შაფრანს**, მარკოზ ბორისის-ძე **კოიფმანს**, აბრამ ნაუმის-ძე **კოზაკოვს** — ქრონიკის ოპერატორებს 1940 წელს გამოსული კინოსურათისათვის „დუნაიზე".

10. ლეონიდე დავითის-ძე **ლუკოვს**, რეჟისორს, და პავლე ფილიპეს-ძე **ნილინს**, კინოდრამატურგს — კინოსურათისათვის „დიდი ცხოვრება", რომელიც 1940 წელს გამოვიდა.

11. იული იაკობის-ძე **რაიზმანს**, რეჟისორს, ივანე რომანის-ძე **პელტცერს**, რსფსრ დამსახურებულ არტისტს, და ნიკოლოზ ივანეს-ძე **დოროხოვს**, რსფსრ დამსახურებულ არტისტს — კინოსურათისათვის „უკანასკნელი ღამე", რომელიც 1937 წელს გამოვიდა.

12. იოსებ ექვთიმეს-ძე **ხეიფეცს**, რეჟისორს, და ალექსანდრე გრიგოლის-ძე **ზარხის**, რეჟისორს, კინოსურათისათვის „ბალტიკის დეპუტატი", რომელიც 1937 წელს გამოვიდა.

13. ნიკოლოზ მიხეილის-ძე **შენგელაიას**, საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებულ მოღვაწეს, და ნატალია გიორგის-ასულ **ვაჩნაძეს**, საქართველოს სსრ სახალხო არტისტს — კინოსურათებისათვის: „ელისო", რომელიც 1936 წელს გამოვიდა, და „ნარინჯის ველი", რომელიც 1937 წელს გამოვიდა.

14. ფრიდრიხ მარკოზის-ძე **ერმლერს**, რეჟისორს, რსფსრ ხელოვნების დამსახურებულ მოღვაწეს, ალექსანდრე ივანეს-ძე **ზრაჟევსკის**, რსფსრ დამსახურებულ არტისტს, და ნიკოლოზ ივანეს-ძე **ბოგოლიუბოვს**, მსახიობს — კინოსურათებისათვის „დიდი მოქალაქე" (1-ლი და მე-2 სერია), რომლებიც 1938 და 1939 წელს გამოვიდა.

(დასასრული მე-2 გვ.).

ხელოვნებისა და ლიტერატურის დარგში ღირსშესანიშნავი ნაშრომებისათვის სტალინური პრემიების მიკუთვნების შესახებ

(დასასრული)

15. სერგი იოსების-ძე იუტკევიჩს, რეჟისორს, რსფსრ ხელოვნების დამსახურებულ მოღვაწეს, და ლეონიდ სოლომონის-ძე ლიუბოშევსკის, რსფსრ დამსახურებულ არტისტს — კინოსურათისათვის „სვერდლოვი“, რომელიც 1940 წელს გამოვიდა.

ი. მხატვრული პროზის დარგში

პირველი ხარისხის პრემიები 100.000 მანეთის რაოდენობით

1. ალექსი ნიკოლოზის-ძე **ტოლსტოის**, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრს, რომანისათვის „პეტრე პირველი“.

2. სერგი ნიკოლოზის-ძე **სერგეევ-ცენსკის** — რომანისათვის „სევასტოპოლის თავდაცვა“, რომელიც 1939-1940 წ. წ. გამოქვეყნდა.

3. მიხეილ ალექსანდრეს-ძე **შოლოხოვს**, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრს, რომანისათვის „წყნარი დონი“, რომელიც 1940 წელს გამოქვეყნდა.

მეორე ხარისხის პრემიები 50.000 მანეთის რაოდენობით

1. ნიკოლოზ ევგენის-ძე **ვირტას** — რომანისათვის „მარტოობა“, რომელიც 1935 წელს გამოქვეყნდა.

2. ლეონ მიხეილის-ძე **ქიაჩელს** — რომანისათვის „გვადი ბიგვა“, რომელიც გამოქვეყნდა ქართულ ენაზე 1938 წელს და რუსულ ენაზე 1939 წელს.

3. ალექსი სილას-ძე **ნოვიკოვ-პრიბოის** — რომანისათვის „ცუსიმა“, რომელიც 1935 წელს გამოქვეყნდა (ნაწილი II)

კ. პოეზიის დარგში

პირველი ხარისხის პრემიები 100.000 მანეთის რაოდენობით

1. ნიკოლოზ ნიკოლოზის-ძე **ასეევს** — პოემისათვის „მაიაკოვსკი იწყება“, რომელიც 1941 წელს გამოქვეყნდა.

2. ივანე დომენიკის-ძე **კუპალას** — ლექსთა კრებულისათვის „გულის სიღრმიდან“, რომელიც 1940 წელს გამოქვეყნდა.

3. პავლე ნიკოლოზის-ძე **ტიჩინას** — უკრაინის სს რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის წევრს, ლექსთა კრებულისათვის „ერთიანი ოჯახის გრძნობა“, რომელიც 1938 წელს გამოქვეყნდა.

მეორე ხარისხის პრემიები 50.000 მანეთის რაოდენობით

1. **ჯამბულ ჯაბაევს** — ყაზახეთის სს რესპუბლიკის სახალხო პოეტს, საყოველთაოდ ცნობილ პოეტურ ნაწარმოებთათვის.

2. ვასილ ივანეს-ძე **ლებედევ-კუმაჩს** — საყოველთაოდ ცნობილ სიმღერათა ტექსტებისათვის.

3. გიორგი ნიკოლოზის-ძე **ლეონიძეს** — პოემისათვის „ზედადის ყრმობა“, რომელიც 1939 წელს გამოქვეყნდა.

4. სერგი ვლადიმირის-ძე **მიხალკოვს** — საბავშვო ლექსებისათვის.

5. ალექსანდრე ტრიფონის-ძე **ტვარდოვსკის** — პოემისათვის „მურავიის ქვეყანა“, რომელიც 1936 წელს გამოქვეყნდა.

ლ. დრამატურგიის დარგში

პირველი ხარისხის პრემიები 100.000 მანეთის რაოდენობით

1. კონსტანტინე ანდრიას-ძე **ტრენევს** — პიესისათვის „ლიუბოვ იაროვაია“, რომელიც 1937 წელს დაიდგა ახალი რედაქციით.

2. ალექსანდრე ევდოკიმეს-ძე **კორნეიჩუკს** — პიესებისათვის „პლატონ კრეჩეტი“ და „ბოგდან ხმელნიცკი“, რომლებიც 1936 და 1939 წლებში დაიდგა.

3. ნიკოლოზ თევდორეს-ძე **პოგოდინს** — პიესისათვის „თოფიანი კაცი“, რომელიც 1937 წელს დაიდგა.

მეორე ხარისხის პრემიები 50.000 მანეთის რაოდენობით

1. სამედ **ვურგუნს** — პიესისათვის „ვაგიფი“, რომელიც 1939 წელს დაიდგა.

2. კონდრატ კონდრატის-ძე **კრაპივას** — პიესისათვის „ვინ იცინის უკანასკნელი“, რომელიც 1939 წელს დაიდგა.

3. ვლადიმერ ალექსანდრეს-ძე **სოლოვიოვს** — პიესისათვის „ფელდმარშალი კუტუზოვი“, რომელიც 1940 წელს დაიდგა.

მ. ლიტერატურული კრიტიკის დარგში

პირველი ხარისხის პრემიები 100.000 მანეთის რაოდენობით

იგორ ემანუილის-ძე **გრაბარს** — ხელოვნების დამსახურებულ მოღვაწეს, პროფესორს, წიგნისათვის „რეპინი“, რომელიც 1937 წელს გამოქვეყნდა.

შენიშვნა:

„მეცნიერების, გამოგონებების, ლიტერატურისა და ხელოვნების დარგში სტალინური პრემიების მიკუთვნების წესის შეცვლის შესახებ“ სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს 1940 წლის 20 დეკემბრის დადგენილების ნაწილობრივ შესაცვლელად სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭომ ამ დადგენილებით დამატებით გაითვალისწინა სტალინური პრემიები ღირსშესანიშნავი ნაშრომებისათვის შემდეგი რაოდენობით:

საოპერო ხელოვნების დარგში

პირველი ხარისხის ერთი პრემია,
მეორე ხარისხის ერთი პრემია.

კინემატოგრაფიის დარგში

პირველი ხარისხის შვიდი პრემია,
მეორე ხარისხის ათი პრემია.

ლიტერატურის დარგში

პროზაში — მეორე ხარისხის სამი პრემია,
პოეზიაში — მეორე ხარისხის ხუთი პრემია,
დრამატურგიაში — მეორე ხარისხის სამი პრემია.

სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე
ვ. მოლოტოვი

სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს საქმეთა მმართველი
ი. ჩადაევი

მოსკოვი, კრემლი. 1941 წ. 15 მარტი.



ხელოვნებისა და ლიტერატურის მუშაკები, რომელთაც სტალინური პრემიები მიეკუთვნათ: ამხ. ა. ხორავა, მ. ჭიაურელი, ლ. ქიაჩელი, გ. ლეონიძე, ნ. ვაჩნაძე, ნ. შენგელაია, მ. გელოვანი, ხ. ბაღაშვილი, ა. ქურდიანი, გ. კილაძე, ი. თოიძე და ხ. კაკაბაძე.

წ ყ ა რ ო

გიორგი კაჭახიძე

დაუდეგარმა, მარად ანკარამ,
ჩვენი ჭალების წყარომ ნაქებმა,
კვლავ დამანახა გული პატარა,
გრილი ნიავი კვლავ მომაგება.

კვლავ გამიცინა სუფთა თვალებით,
შემომაჩქეფა ტალღა ქურდულად;
გამაშლევინა ლაღად მკლავები
და მერცხალივით ამაღუღუნა.

ის ჩემს ადრინდელ დღეებს მაგონებს,
ზაფხულს ლურჯთვალას, ცხელს და მხარგაშლილს,
როცა ჭმუნვის და დარდის არმქონე
ვეხმარებოდი ბაბუს მარგვლაში.

თვლემდა მახლობლად, ბუჩქების ძირას,
ჩვენი ბროლია, სიცხესთან მწყრალი...
გავრბოდი დოქით წყაროსკენ ხშირად
და ფეხშიშველას მომქონდა წყალი.

ვნატრობდი მაშინ ვაჟკაცის ძალას,
მეხურა ცაცხვის ფოთლების ქუდი...
შემდეგ მრავალჯერ ამწვანდა ჭალა,
ბევრჯერ ეწვია მერცხლების გუნდი.

მეც წლების გუნდი მეწვია დინჯი,
დამშორდა ყრმობა თვალთა ციმციმით.
წყარო კი ისევ, ვით ცელქი ბიჭი,
კვლავინდებურად ხტის და იცინის.

მას ვერ დააშრობს ზაფხული მწველი,
აიტანს გვალვას, ყინვას და ქარბუქს.
მოვალ აქ ერთ დროს მე თეთრი წვერით
და წყაროს ისევ ვიხილავ ჭაბუკს.

გულს გამიბრწყინვებს კვლავ მისი სუნთქვა,
ჩუხჩუხი, დენა დაუდგრომელი;
მისი კენჭები, ბალახი სუფთა,
ცელქი ტალღების ჩქეფით სოველი.

კვლავ გამახარებს ჭალის ამბებით,
მოხუცს ნახვისთვის მეტყვის მადლობას;
ბაგით მის ტალღებს დავეწაფები
და დამიბრუნებს ახალგაზრდობას.

კონკურსი თავდაცვითი მოთხრობაზე

ჟურნალ „კრასნოარმეეცის“ რედაქციამ მოაწყო კონკურსი თავდაცვითს მოთხრობაზე.

კონკურსის ამოცანაა — ამ ჟანრის მაღალმხატვრული ნაწარმოების შექმნა. ჟურნალში სათანამშრომლოდ ფართო შემოქმედებითი აქტივის ჩაბმა და ახალი შემოქმედებითი ძალების გამოვლინება წითელარმიელებისა, მეთაურებისა, პოლიტმუშაკებისა და უფროს შემადგენლობიდან.

საკონკურსო მოთხრობების თემაა: წითელი არმია თავდაცვის სახალხო კომისრის, საბჭოთა კავშირის მარშლის ს. კ. ტიმოშენკოს მითითებათა შესრულებისათვის ბრძოლაში.

კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ წითელ არმიელებს, მეთაურებს, პოლიტმუშაკებს, უფროს შემადგენლობის პირებს და აგრეთვე პროფესიონალ მწერლებს.

ხელნაწერი უნდა გაიგზავნოს შემდეგი მისამართით:

მოსკოვი, 19, ფრუნზეს ქუჩა № 16, ჟურნალი „კრასნოარმეეც“-ის რედაქცია.

ხელთნაწერზე აღნიშნული უნდა იყოს „კონკურსისათვის“.

მოთხრობის მოცულობა არ უნდა აღემატებოდეს მანქანაზე გადაბეჭდილ 10-12 გვერდს.

ჰონორარის გარდა, საუკეთესო მოთხრობებს მიეცემათ შემდეგი პრემიები: პირველი პრემია — 5000 მანეთი, მეორე პრემია — 2000 მან., ორი მესამე პრემია ათას-ათასი მანეთი.

კონკურსის შედეგების შეჯამება მოხდება 1-ლ მაისისათვის. ჟიურის მიერ განხილული და მოწონებული ნაწარმოებები დაიბეჭდება ჟურნალში კონკურსის შედეგების დაუცდელად.

„აბდალახის შვილი ბაბეკი“

22 მარტს მწერალთა კლუბში პოეტი **ილია სელვინსკი** წაიკითხავს თავის ახალ ტრაგედიას „აბდალახის შვილი ბაბეკი“.

დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

შესვლა მოსაწვევი ბარათებით.

დისპუტი რომან „კვცხოველის“ გარშემო

24 მარტს, მწერალთა კლუბში შესდგება დისპუტი **იაკინთე ლისაშვილის** ახალი რომანის „კეცხოველის“ გარშემო.

შესავალი სიტყვით გამოვა ი. აბაშიძე. მოხსენებას წაიკითხავს **ბ. ჟღენტი.** კამათში გამოვლენ: **ლ. ქიაჩელი, ს. ჩიქოვანი, ა. მაშაშვილი, შ. რადიანი, ლ. ასათიანი, გ. თავზიშვილი, ი. ვაკელი, ა. გომიაშვილი, რ. გვეტაძე, ა. ქუთათელი, გ. ნატროშვილი, დ. ბენაშვილი, ე. ასტვაცატუროვი, ს. ეული, ბ. აბულაძე, დ. კასრაძე, პ. ცინცაძე** და სხვ.

დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

შესვლა თავისუფალია.

ლეო ქიაჩელის „გვადი ბიგვა“

ვანო წულუკიძე

ლეო ქიაჩელის რომანმა „გვადი ბიგვამ“ უმაღლესი შეფასება დაიმსახურა: ის ამოირჩნდა იმ ექვს პროზაულ ნაწარმოებს შორის, რომელთაც სტალინის სახელობის პრემია მიაკუთვნეს.

გადაჭარბება არ იქნება, თუ ვიტყვით, რომ „გვადი ბიგვა“-სთვის ამ დიდი პრემიის მიკუთვნების ფაქტი არის ისტორიული მნიშვნელობის მოვლენა ქართული მხატვრული პროზის განვითარებაში. პირველად ქართულმა პროზაულმა ნაწარმოებმა გაუძლო თითქმის უკანასკნელი ხუთი წლის მანძილზე საბჭოთა კავშირის ხალხთა ენებზე გამოქვეყნებულ ამავე ჟანრის ნაწარმოებთა შეჯიბრებას, გამოვიდა ამ შეჯიბრებაში გამარჯვებული, მიიღო სრულიად-საკავშირო და, მაშასადამე, საერთაშორისო აღიარება. ეს ფაქტი მოასწავებს ჩვენი ახალი მხატვრული პროზის სრულ სიმწიფეს, რადგან ცნობილია, რომ ჟანრი რომანისა თავის ასაკით ყველაზე ახალგაზრდა ჟანრია, რომელიც აგვირგვინებს მხატვრული აზროვნების ხანგრძლივ განვითარებას საერთოდ ყველა ქვეყნის მწერლობაში.

პოეზიის შესანიშნავი ნიმუშები მოიპოვება თითქმის ყველა ხალხს ჯერ კიდევ თავისი ისტორიის გარიჟრაჟზე, ხოლო მხატვრული პროზის ისეთი რთული ახეობა, როგორიცაა რომანი, შეიძლება ჰქონდეს მხოლოდ ისეთ ერს, რომელიც ეწევა ინტენსიურ სოციალ-პოლიტიკურ ცხოვრებას, ფართო სამეურნეო აღმშენებლობას, ღრმა კულტურულ-ინტელექტუალურ შემოქმედებითს მუშაობას. ეს არის აუცილებელი პირობა და თუ ეს არ არსებობს, არ არის ნიადაგი რომანისათვის. ქართული მწერლობის განვითარების ერთს ეტაპზე, რომელიც უშუალოდ წინ უსწრებდა საბჭოთა პერიოდის დასაწყისს, წამოიჭრა პრობლემა, შეიძლება თუ არა დაიწეროს რომანი თანამედროვე ქართული ცხოვრებიდან. ამ კითხვაზე მაშინ გაცემული უარყოფითი პასუხი მოტივირებული იყო იმით, რომ მაშინდელი ქართული ცხოვრების სიღარიბე, თვითმპყრობელობის მუხრუჭებში მოქცეული ორმაგად ჩაგრული ხალხი, რომლის ენაც უფლებააყრილი და განდევნილი იყო პოლიტიკური და კულტურული ცხოვრების სარბიელიდან, არ იძლეოდა მასალას დიდი მოცულობის ნაწარმოებისთვის.

ჩვენი თანამედროვე ქართული საბჭოთა პროზის ისეთი სიმწიფე, რომელმაც დიდი ტრადიციების მქონე მწერლობასთან შეჯიბრებაში ქართული რომანი გამარჯვებული გამოიყვანა, არის უშუალო შედეგი საბჭოთა სახელმწიფოებრივი სისტემისა, რომელმაც აამოძრავა, გააქტივა ქართველი ხალხი, ჩაება იგი უდიდეს სამეურნეო-კულტურულ აღმშენებლობაში, შეუქმნა რა ამით მხატვრის თვალს ულეველი მასალა დაკვირვებებისათვის, დაუშრეტელი წყარო შემოქმედებისა და მხატვრული განზოგადოებისათვის. მხოლოდ დღევანდელ ქართულ საბჭოთა სოფელს, ეკონომიურად დაწინაურებულს, კულტურულად ამაღლებულს, ინტენსიურ პოლიტიკურ-სამეურნეო ცხოვრებაში და იდეურ-მორალური გარდაქმნის პროცესში ჩაბმულს საბჭოთა სოფელს შეეძლო მიეცა „გვადი ბიგვას“ ავტორისათვის მდიდარი მასალა მრავალფეროვანი ტიპაჟის გამოსაკვეთად, რთული სიუჟეტური კვანძებისა და სიტუაციების შესაქმნელად. რევოლუციის წინადროინდელი სოფლის პოლიტიკურ-იდეური ჩამორჩენილობა და ერთფეროვნება, ინტელექტუალური სიღატაკე საფუძველშივე სპობდა ასეთი ნაწარმოების დაწერის შესაძლებლობას.

რომანმა „გვადი ბიგვამ“ დაგვაჯერა და დაგვიმტკიცა, თუ რა ცხოველმყოფელი აღმზრდელობითი ზეგავლენა შეუძლიან მოახდინონ თავიანთი ჰუმანიური დამოკიდებულებით, თავიანთი სათუთი და მზრუნველი მოპყრობით საკოლმეურნეო სოფლის ახალმა ადამიანებმა თვით ისეთ კაცზე, როგორიც არის ძველი ექსპლოატატორული საზოგადოებრივი ურთიერთობის მიერ ზნეობრივად დასახიჩრებული და ფიზიკურად დაჩიავებული გლეხი — გვადი ბიგვა. მეორეს მხრივ იგივე რომანი გვიჩვენებს, რომ სოფლის ახალ ადამიანებს შესწევთ უნარი ახალ საზოგადოებისაკენ შემოაბრუნონ და მშრომელთა დიდ ოჯახს დაუბრუნონ დაუზარელი მუშაკი, მაგრამ ყოველი ახლისადმი სკეპტიკურად განწყობილი, ძველი ტრადიციების გულმოდგინე თაყვანისმცემელი. ერთი შეხედვით, ისეთი ქედმოუხრელი მესაკუთრე, როგორიც არის გოჩა სალანდია, ეს სწორად დანახული და სიმართლით ასახული ტიპი გამრჯელი ქართველი გლეხისა.

მართალია, ქართველი გლეხობის არც ერთი ფენის ასეთ ტიპიურ სახედ არ გამოდგება გვადი ბიგვა, რადგან გვადი ბიგვები ცალკეულ, ერთეულ შემთხვევებს წარმოადგინენ და არა მასობრივ მოვლენებს, მაგრამ, თუ ავტორმა იგი მაინც თავისი რომანის მთავარ გმირად აირჩია, ეს მხოლოდ იმისათვის, რომ უფრო მკვეთრად და რელიეფურად გამოჩენილიყო დიდი მორალური ძალა ახალი საზოგადოებისა.

გვადი არ არის ტიპი, მაგრამ ტიპიურია და ჩვენი საკოლმეურნეო ცხოვრების დამახასიათებელი ზემოქმედების ღონისძიებათა ის სისტემა, რომელსაც კოლექტივისაკენ გოჩა სალანდიას შემობრუნებლად და გვადი ბიგვას ფეხზე წამოსაყენებლად მიმართავენ სოფლის მოწინავე ადამიანები, კომუნისტები—გერა, ქვრივი მარიამი, კომკავშირელი ნაია, გიორგი და სხვები. ის ფაქტი, რომ გვადი ტიპი არ არის, რასაკვირველია, იმას არ ნიშნავს, რომ იგი არარეალურია, გამოგონილი და ფანტასტიური. გვადი უაღრესად ცოცხალი ხასიათია, ხასიათი აღმოცენებული ძველი სოციალური სინამდვილის ნიადაგზე და ამოზრდილი ქართული ფოლკლორიდან, რომლის ერთ-ერთ ცნობილ გმირს გვადი მოგვაგონებს თავისი მოგონილი გულუბრყვილობით, თავისი ჭკუამახვილობით და მიხვედრილობით და ამავე დროს არცა ჰგავს მას, რადგან არაფერი ზღაპრული, ფანტასტიური, დაუჯერებელი გვადის ყოფაქცევასა და მოქმედებაში არ არის.

თუ ლეო ქიაჩელის ამ რომანის (და აგრეთვე მისივე სხვა ნაწარმოების) პერსონაჟებს — გოჩა სალანდიას, ქვრივ მარიამს, გერას, ნაიას, არჩილ ფორიას სხვაგანაც მოუნახავთ ლიტერატურულ პროტოტიპებს, გვადი ბიგვა იმდენად ინდივიდუალურია, იმდენად განსაკუთრებული და უაღრესად თავისებური, რომ მას არა ჰყავს ორეული სხვა ერის ჩვენთვის ცნობილ მხატვრულ ნაწარმოებებში და შედის ლიტერატურულ გმირთა გალერეაში, როგორც განუმეორებელი სახე.

შექმნა ისეთი სახისა, რომელიც არ აირევა, არ გაითქვიფება და გამოირჩევა ლიტერატურის უამრავ გმირებში, არის მწერლის დიდი მხატვრული ინდივიდუალობის მაჩვენებელი და მისი გამარჯვება, როგორც შემოქმედისა.

მაგრამ ლეო ქიაჩელის ეს რომანი მკითხველის განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს და სხვა ნაწარმოებებისაგან განსხვავდება არა მარტო ცენტრალური გმირის იშვიათი თავისებურებით, არა მარტო სხვა პერსონაჟთა ცოცხალი ხასიათებით, არამედ თავისი აგებულებით, თავისი კომპოზიციით. მთელ ქართულ პროზაში ბევრს ვერ დავასახელებთ ისეთ პროზაულ ნაწარმოებს, რომელსაც გააჩნდეს „გვადი ბიგვასავით“ შეკრული სიუჟეტი, მასავით მწყობრი, გამართული აღნაგობა, მხატვრული ხერხების უაღრესი მომჭირნეობა და კანონზომიერება.

ლეო ქიაჩელის მანერა ამ რომანშიაც არის დამშვიდებული, ღიმმორეული, სრულიად ბუნებრივი თხრობა, დამყარებული ეგრეთწოდებულ შეუნაცვლებელი ანუ აუცილებელი დეტალების ხერხზე.

ლეო ქიაჩელი გვიამბობს და აგვიწერს არა ყველაფერს, რაც მის გმირებს შეიძლება შემთხვეთ, ან რაც მისმა გმირებმა შეიძლება ნახონ, არამედ მხოლოდ იმას რაც საჭიროა, რაც აუცილებელია ან ხასიათის გასახსნელად, ან ამბის განსავითარებლად. ეპიზოდები ამ ნაწარმოებში ერთმანეთთან რგოლებივით არიან გადაბმული და ჰქმნიან ერთს მთლიან სიუჟეტურ ჯაჭვს. ამოღება რომელიმე მათგანისა გაწყვეტს ჯაჭვს და დაარღვევს მთლიანობას. მოვიყვანთ რამდენიმე მაგალითს ამის დასამტკიცებლად.

რომანი იწყება იმით, რომ გვადის დილა ადრიანად ბაზრობაზე გასასყიდლად მიჰყავს თიკანი და მიაქვს მანდარინები, მაგრამ გზაზე გვადის გაექცევა თიკანი და ამით იფუშება გვადის მთელი გეგმა. თუ ამოიღებთ ამ დეტალს (თიკანის გაქცევასა და ყოველსავე იმას, რაც გვადის ამის გამო შეემთხვა) ამით თქვენ სულ დაშლით რომანის ექსპოზიციას, რადგან თუ ეს დეტალი არ დარჩება, გვადი ვეღარ შეხვდება (მაშასადამე, ვერც მკითხველი გაიცნობს) ქვრივ მარიამს, გოჩა სალანდიას, მენახირე პახვალას, არჩილ ფორიას.

ავიღოთ, მაგალითად ტყე, ტყის კაფვა, რომელიც რომანის პირველ თავებშია დახატული. ავტორს ტყე აღწერილი აქვს არა იმიტომ, რომ ლამაზი ლანდშაფტით შეამკოს ნაწარმოები, — არა, იგი ორი აუცილებელი გარემოებით არის შეტანილი რომანში: ორკეთის კოლმეურნეები ოდებს იშენებენ — ხე-ტყეა საჭირო, ორკეთელები ჩაის ახალ პლანტაციების გაშენებას აპირებენ — ახალი ფართობია საჭირო. ტყის გაჩეხვასა და მორების ფერდობზე დაცურებას მოსდევს ერთი თითქოს უმნიშვნელო ამბავი: ზოგი მორი ვარდება ხრამში, საიდანაც მისი ზევით ამოთრევა სამძიმო ხდება. ბრიგადირი ზოსიმე შეამჩნევს, რომ ხრამში სძოვს გოჩას ფურ-კამეჩი. რაკი თვით გოჩა მონაწილეობას არ იღებს იმ ხე-ტყის დამზადებაში, რომელიც, სხვათა შორის, მის ოდის აგებასაც უნდა მოხმარდეს, ბრიგადირი გადასწყვეტს გოჩას კამეჩი მაინც გამოიყენოს — ზევით ამოათრევინოს ხევში ჩაცვივნული მორები. ასეც იქცევა. ამას შენიშნავს გოჩას სასიძო ფორია და შეატყობინებს გოჩას. გოჩა, გამწარებული იმით, რომ კოლმეურნეობამ გაბედა მის საკუთრებაში დატოვებული ფურ-კამეჩის უღელში შებმა, ასტეხს სასტიკ ჩხუბს, რომელიც სერიოზულ კონფლიქტად იქცევა.

არ არის შემთხვევითი, რომ სწორედ გვადის მიჰყავს კამეჩი პატრონთან. მიდენის რა კამეჩს, გვადის იპყრობს კამეჩის დასაკუთრების სურვილი, ის ქურდულად სწველის კიდეც ფურ-კამეჩს, რაც უფრო აძლიერებს კამეჩის ხელში ჩაგდების წყურვილს. მკითხველს მოეხსენება, თუ როგორ იყენებს შემდეგ ფორია გვადის ამ „ვნებას“. ფორია, ჰპირდება რა გოჩასთან ჩასიძების შემდეგ კამეჩის ჩუქებას, ითანხმებს გვადის კომბინაციაზე (ფიცრების ფარულად გატანაზე გოჩას გადასაცემად).

ეპიზოდების ამ მოკლე მოყოლიდანაც აშკარაა, თუ რა დანიშნულებას ასრულებს გოჩას ფურ-კამეჩი ამ ამბების განვითარებაში. იქნებ შემთხვევით მოხვდა ეს კამეჩი ხრამში, მაგრამ ასე არ არის. კამეჩი გამოეპარა მიძინებულ მენახირეს პახვალას. იქნება ეს ძილიც შემთხვევითია. არა, გაზარმაცებული და გაფუჭებული პახვალა იმისათვის, რომ ფხიზლად მწყემსოს და ერთგულად მოუაროს პირუტყვს, სისტემატურად ქრთამად ღებულობს კოლმეურნე დიასახლისებისაგან თითო დოქ ღვინოს. პახვალას ხასიათიდან გამომდინარე ეს დეტალი არის უსაჭიროესი, უაღრესად აუცილებელი, რომ მთელი ეს ამბები დატრიალდეს. ასეთივე კანონზომიერად არის რომანში შეტანილი და მძივებივით ასხმული ყველა ეპიზოდი, ყველა მოქმედება, ყველა საგანი. არსად არც ერთი ზედმეტი შტრიხი, ზედმეტი წვრილმანი. დეტალების ეს მიზან-შეწონილი შერჩევა, ამბების მიზეზობრივი დაკავშირება, გამოსახვითი ხერხების კანონზომიერი გამოყენება მთელს ნაწარმოებს აძლევს იშვიათ კომპოზიციურ ჰარმონიულობას, რაც ძლიერ ესთეტიურ სიამოვნებას ჰგვრის მკითხველს.

თუ მართალია ბალზაკის თქმა, რომ მხატვრული ნიჭი სხვა არაფერია, თუ არა დეტალების შერჩევის უნარი, რომ კარგი ნაწარმოები რამდენჯერმე იკითხება მხოლოდ მისი დეტალებისათვის, მაშინ გვაქვს სრული საფუძველი ამ დებულების ერთ-ერთ საუკეთესო დადასტურებად ჩავთვალოთ ლეო ქიაჩელის „გვადი ბიგვა“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საბჭოთა აჭარის მწერლები

ა. ჩავლეიშვილი

აჭარის საბჭოთა მწერლები ნაყოფიერ შემოქმედებითს მუშაობას ეწევიან. განვლილი ოცი წლის განმავლობაში აჭარის მწერლებმა შექმნეს მთელი რიგი მნიშვნელოვანი ნაწარმოებები და გაამდიდრეს ჩვენი ლიტერატურა.

პროზის დარგში ნაყოფიერ მუშაობას აწარმოებს პარმენ ლორია. მისი პირველი რომანი „ჩაი“ ორ წიგნად იქნა გამოცემული. ამას მოჰყვა მისი მეორე მოზრდილი რომანი — „დილი მურადი“. ამჟამად პ. ლორიამ გამოსცა ახალი რომანი „მევლუდ“. სამივე ეს რომანი რეალისტური ნაწარმოებია. ლორიას რომანში — „დილი მურადში“ ტიპიურად არის ნაჩვენები აჭარაში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისა და განმტკიცების პირველი წლები. რომანის გმირები ანდრო და მურადი ხალხის პირმშო შვილები არიან. ისინი თავგანწირულად იბრძვიან ქვეყნის სოციალისტურად გარდაქმნისათვის. მწერალმა ლორიამ გვიჩვენა კლასთა ბრძოლის კონკრეტული სურათები, გვიჩვენა ახალი ქვეყნის შვილების ბრძოლა კლასობრივი მტრის წინააღმდეგ, გვიჩვენა, როგორ ანადგურებდნენ ახალი აჭარის ადამიანები მემამულეებს, ხოჯებს, მოლებს და სხვა მტრებს. „დილი მურადში“ მეცნიერება ამარცხებს ცრუმორწმუნეობას და ამიტომ ანდროს და მურადის ბრძოლა რელიგიის წინააღმდეგ სწორ ტიპიურ ფორმაშია გადმოცემული.

ნაწარმოების იდეური შინაარსი მართლად გადმოგვცემს ძველი ყოფის ნგრევისა და ახალი ცხოვრების ჩამოყალიბების პროცესს. მწერალს საკმაოდ მხატვრული დამაჯერებლობით აქვს ნაჩვენები ახალი ადამიანის ჩამოყალიბების პროცესი.

საბჭოთა აჭარის მწერალთა მოწინავე რიგებში სდგას პოეტი ნესტორ მალაზონია. მისი შემოქმედების ძირითად თემას წარმოადგენს იმ ისტორიული ბრძოლისა და მუშაობის მხატვრული ჩვენება, რასაც დიდი **სტალინი** აჭარის მშრომელ ხალხში აწარმოებდა. როგორც ვიცით, დიდმა **სტალინმა** მიმდინარე საუკუნის გარიჟრაჟზე აქ საფუძველი ჩაუყარა ლენინურ-ისკრულ სოციალ-დემოკრატიულ ორგანიზაციას, განამტკიცა ის და გამოაწრთო, მოამზადა გადამწყვეტი იერიშისათვის თვითმპყრობელობისა და კაპიტალიზმის წინააღმდეგ. ამ ბრძოლის წარმტაცი ფურცლები დაგვიხატა მალაზონიამ თავის პოემაში.

ცნობილია, რომ მუშებში დაწყებული რევოლუციური მოძრაობა აჭარის სოფლებშიაც გადადიოდა,—გლეხებიც იწყებდნენ გამოღვიძებას. **სტალინის** გენიალური აზრი მშრომელი აჭარელი გლეხების გულთან მივიდა, მტკიცედ დაირაზმნენ გლეხები და მუშების ხელმძღვანელობით რევოლუციურ მოძრაობაში ჩაებნენ.

სტალინური აზრების გავლენით, სოფლის მშრომელების თანდათანი გარევოლუციონერების კონკრეტული მაგალითი არის ნაჩვენები ნ. მალაზონიას „გულიზარში“. **სტალინი** და მისი თანამებრძოლები ფარულად აწყობდნენ მთელ რიგ კრებებს, სადაც იხილავდნენ სოფლის მშრომელების ცხოვრების აქტუალურ საკითხებს. ერთ ასეთ კრებაზე სტალინური აგიტაციისა და პროპაგანდის შედეგად გათვითცნობიერებული ყადირ ტაკიძე, სიტყვით გამოდის და ამხელს გაბატონებულ კლასებს.

ასე რაზმავდნენ და წვრთნიდნენ სოფლის პროლეტარიატს ამხანაგი **სტალინი** და მისი მახლობელი თანამებრძოლები, რომლებიც, როგორც ბრწყინვალე პროპაგანდისტები, ხალხში ნერგავდნენ ცარიზმის და კაპიტალისტებისადმი სიძულვილს, ამზადებდნენ ხალხს ძველი წყობილების წინააღმდეგ საიერიშოდ. პოემის გმირი გულიზარი საუკეთესო პროპაგანდისტი გახდა. გულიზარი თავისი დროის რეალური და პირმშო შვილია. იმ დროს მრავლად იყვნენ ასეთი მგზნებარე რევოლუციონერი ქალები და მწერალს შეეძლო მათი მსგავსი მხატვრული ტიპების შექმნა. „გულიზარის“, როგორც სოციალისტური პოემის ღირსება, იმაშია, რომ იგი იძლევა სინამდვილის ტიპიურ ასახვას: განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ის, რომ ნ. მალაზონია რიტმისა და რითმის ნიჭიერი ოსტატია. მისი ლექსის სტროფები მრავალფეროვანია.

„გულიზარში“ ნაწილობრივ შესამჩნევია ზოგიერთი მომქმედი პირის სქემატიურობა. მაგ., საჭირო იყო პოემის გმირის ხუსნი ტაკიძის უფრო მკვეთრად გამოკვეთა. მასზე მწერალს უფრო მეტი უნდა ემუშავნა. პოემაში ზოგჯერ მოვლენების განვითარებას დამაჯერებლობა აკლია, ე. ი. ერთი მოვლენის მეორე მოვლენაში გადასვლა ან ერთის მიერ მეორის შეცვლა არ არის სათანადოდ მოტივირებული. მართებული მოტივაციის გარეშე კი ნაწარმოების განვითარების პროცესი დამაჯერებელი არ არის.

ნაყოფიერ მუშაობას ეწევა ახალგაზრდა პოეტი შალვა იოსელიანი. იგი უმთავრესად ლირიკოს პოეტად არის ცნობილი. მას ლექსების ორი წიგნი აქვს უკვე გამოცემული და უნდა ითქვას, რომ იოსელიანის შემოქმედება ლირიკული უშუალობით არის გამთბარი. პოეტი ყოველი აღებული მოვლენისადმი ავლენს თავის იდეურ-ემოციურ დამოკიდებულებას. ასეთებია იოსელიანის პატარა მოცულობის ლექსები.

აჭარაში ოცი წლის წინად მოისპო ბეგების, ხოჯა-მოლებისა და სხვა ექსპლოატატორების ბატონობა. აჭარის, საქართველოს ამ ლამაზი კუთხის მშრომელები ცხოვრობენ თავისუფლად და ბედნიერად. სოციალისტური ინდუსტრიის გვერდით აქ დღითი-დღე ვითარდება და ჰყვავის ციტრუსების მეურნეობა, პოეტ იოსელიანის შემოქმედებაში ამ თემისადმი მიძღვნილი ლექსები ბლომად მოიპოვება. ასეთია: „აჭარული პეიზაჟი“, „ლიმონის ბაღში“, „ფორთოხლების ქარავანი“, „სიმღერა ფორთოხლებში“. „ლიმონის ბაღში“ ავტორი ამბობს:

„ჩემო ხეებო!
უკვდავების ნექტარი მასვით!
მშობლიურია თქვენი რხევა,
ტოტი,
ღერებიც.
მივცეთ ქვეყანას უფრო მეტი,
უფრო ძვირფასი
დამწიფებული ლიმონები
და სიმღერები!“

იოსელიანმა სცადა ლირიკული ლექსების გვერდით დაეწერა ეპიური ნაწარმოებიც. მხედველობაში გვაქვს მისი პოემა „დაბრუნება“.

თუ იოსელიანის პოემას „დაბრუნებას“ განვიხილავთ იდეური შინაარსის, საზოგადოებრივ იდეათა ანალიზის თვალსაზრისით, დავინახავთ, რომ მას სერიოზული ნაკლოვანებები გააჩნია. უპირველეს ყოვლისა, პოემის მომქმედი პირები ვერ იძლევიან სინამდვილის მაღალ ტიპიურ განზოგადოებას. თითქმის ყოველი სახე სქემატურია და არ წარმოადგენს გამოკვეთილ ინდივიდუალიზებულ ტიპს.

პოეტ იოსელიანს უფრო დაკვირვებული მუშაობა მოუხდება დიდი სიუჟეტიანი პოემების შესაქმნელად. ამის უნარი და შესაძლებლობა მას გააჩნია. შემდგომ შემოქმედებითი ზრდისათვის პოეტმა მეტი ყურადღება უნდა მიაქციოს ნაწარმოების იდეოლოგიით სრულყოფის საქმეს.

ცხადია, მარტო ამ სახელებით არ ამოიწურება აჭარის დღევანდელი ლიტერატურული სინამდვილე. აქტიურად მუშაობს საბავშვო ლიტერატურის დარგში პარმენ რურუა. პოეტი მამუდ ვარშანიძე თავის ლექსებში უმღერის ჩვენი დიადი სამშობლოს აყვავებას და წარმატებას. აქტიურად მუშაობენ მწერლები — ჯ. ნოღაიდელი, შ შუბლაძე, შ. ხურციძე, პ. გვარიშვილი, ქ. რუსიძე, ლ. შარაშიძე (კრიტიკოსი), ნ. პაიჭაძე და სხვები.

მწერლის ღირსების საქმე

სიმონ წვერავა

ცნობილია, რომ ჩვენი პოეტები, მწერლები და დრამატურგები ცოტას სწერენ და არა სისტემატურად მუშაობენ თავდაცვით-სამხედრო თემატიკაზე, მაშინ, როცა საბჭოთა კავშირის ვრცელი მიწა-წყლის დაცვაზე, სოციალისტური სამშობლოს საზღვრების ხელშეუხებლობაზე და გმირული წითელი არმიის ბრძოლებზე დაწერილ სიმღერებს, ლექსებსა და მოთხრობებს განუზომელი მოთხოვნილება და პოპულარობა აქვთ მკითხველ მასებში.

თუ სამოქალაქო ომების ლეგენდარული ამბები და ახალგაზრდა საბჭოთა სახელმწიფოს თავდაცვისათვის ჩატარებული ბრძოლები რუსული საბჭოთა მწერლობის აყვავების და ფართო შემოქმედებითი სწრაფვის ერთერთ წყაროდ გადაიქცნენ და ამ ამოუწურავ და ნოყიერ თემებზე დაიწერა და შეიქნა ყველა ის შესანიშნავი რომანი, პიესა, მოთხრობა და სცენარი, რომლებითაც სამართლიანად ამაყობს დღეს რუსული საბჭოთა მწერლობა,—არა ნაკლები შთაგონების მომცემია ადამიანის „სულის ინჟინერებისათვის“ ის ბრძოლები, რომლების ჩატარებაც მოუხდათ საბჭოთა კავშირის შეიარაღებულ ძალებს უკანასკნელი წლების მანძილზე. ხასანზე, ხალხინ-გოლზე, დასავლეთ უკრაინასა და დასავლეთ ბელორუსიაში ჩატარებული ბრძოლების, თეთრ ფინელებთან ომის შესახებ ცოტა როდი იწერება რუსეთში და სხვა რესპუბლიკებში. თითქმის ყველა მხატვრული ჟურნალი მოსკოვში, ლენინგრადში, კიევში და მინსკში სავსეა ამ ადამიანებზე და ამ ბრძოლებზე დაწერილი მაღალხარისხოვანი ნაწარმოებებით. ქართველი საბჭოთა მწერლები კი სუსტად მუშაობენ თავდაცვითს თემებზე, ამასთან რაც ჩვენში ამ თემებზე იწერება, მას კრიტიკა არავითარ ყურადღებას არ აქცევს, ანალიზს არ უკეთებს, რომ მკითხველმა გაიგოს და მწერალმაც იცოდეს, რა არის მათში კარგი და რა არის ცუდი.

მაინც რა არის იმის მიზეზი, რომ ასე ცოტა მხატვრული ნაწარმოები იქმნება ჩვენში თავდაცვითს თემატიკაზე?

რასაკვირველია, ამისი მიზეზი ჩვენს ინერტიულობასა და, რაც მთავარია, წითელი არმიის ცხოვრების და ბრძოლების უცოდინარობაში უნდა ვეძიოთ.

ჩვენ ყველას გვაღელვებს და გვახარებს თვითეული მებრძოლის და თვითეული მეთაურის გმირობა და ვაჟკაცობა. ჩვენ ყველას გვახარებს ყურმახვილი და ფეხმარდი მესაზღვრეების სიმამაცე. ყველას განგვიცდია უდიდესი სიამოვნება, როცა საკუთარი თვალით დაგვინახავს სამხედრო საჭურველით შეჯავშნული, ქუჩაში მიმავალი ათასეული. ყველას განგვიცდია და გვიგრძვნია მათი ნაბიჯების სიმტკიცე, მათი სიმღერის სიმხნევის მომცემი გუგუნი. მაგრამ ჩვენ ეს დიდი სიამოვნება არ გამოგვიხატავს მხატვრულად, ხორცშესხმულად და თვალსაჩინოდ.

როგორი ნიჭიერიც არ უნდა იყოს მწერალი და მხატვრული სიტყვის როგორი ოსტატიც არ უნდა იყოს იგი, ძნელია შექმნას მან სრულყოფილი და სისხლჭარბი ნაწარმოები, თუ ის ზედმიწევნით არ იცნობს წითელი არმიის ცხოვრებას და ბრძოლას, თუ ის ზედმიწევნით არ იცნობს ჩვენი არმიის გვარეობას, მის ტაქტიკას და სტრატეგიას, არ იცნობს ტოპოგრაფიას, თანამედროვე ომების ხელოვნებას და საბჭოთა ქვეყნის იარაღის ყოვლისშემძლე მაღალ თვისებებს.

თავდაცვით-სამხედრო თემატიკაზე მომუშავე მწერალი მაშინ ასცდება სქემატიზმსა და შტამპის გზას, როცა იგი მასალას ყოველმხრივ დაეუფლება. მის ნაწარმოებს მაშინ ექნება დამაჯერებლობა და ბუნებრივი მდინარება, როცა ავტორი თავისუფლად მოერევა თემას.

ამ უკანასკნელ დროს მთელი საბჭოთა მწერლობის ყურადღება მიიქცია მუშურ-გლეხური წითელი არმიის უმაღლესი სარდლობის მოწოდებამ — მიიღონ მწერლებმა აქტიური მონაწილეობა პოლკებისა და დივიზიების ისტორიის შედგენაში. ამ საქმეში მწერლების მუშაობას მეტად დიდი მნიშვნელობა აქვს როგორც წითელი არმიისათვის, ისე მწერლებისათვის. ეს დიდად დაეხმარება მწერლებს სამხედრო საკითხების ცოდნის გაფართოებაში.

ყოველი მწერალი, რომელიც მიმაგრებული იქნება პოლკსა თუ დივიზიაზე ისტორიის შესადგენად, ეცდება უფრო ახლოს მივიდეს და უფრო მჭიდროდ დაუკავშირდეს წითელ არმიას და საფუძვლიანად გაიცნოს მისი ცხოვრება. საარქივო მასალის შესწავლა, ბრძანებებისა და დღიურების გადათვალიერება მწერალს დიდ მასალას მისცემს შემოქმედებისათვის.

რომ მართლაც დიდი მნიშვნელობა აქვს მწერლების დაახლოვებას წითელარმიელებთან და მათ მეთაურებთან, ამას ერთი ცოცხალი ფაქტიც ადასტურებს, რომელსაც ადგილი ჰქონდა თბილისის საარტილერიო სასწავლებელში. პოლკის კომისარმა, რომელსაც წითელ არმიაში 23 წელი უმსახურნია, მწერლებს უამბო იმ ბრძოლებზე, რომლების აქტიური მონაწილეც თვითონ ყოფილა. მის დინჯს და აუღელვებელ თხრობაში კინემატოგრაფიული თანმიმდევრობით გაიარეს წითელი არმიის ბრძოლებმა სერგო ორჯონიკიძის სარდლობით გენერალ ბიჩერახოვის ბანდების წინააღმდეგ ჩრდილოეთ კავკასიაში, როცა მთელი მთიულეთი ბოლშევიკების მხარეზე დადგა. მან დაწვრილებით ილაპარაკა სახელოვანი მეთერთმეტე არმიის ბრძოლებზე.

მწერლები ამ ამბებმა ისე გაიტაცეს, რომ სინანულიც კი გამოსთქვეს იმის გამო, რომ სტენოგრაფიულად ვერ ჩაიწერეს ეს შესანიშნავი მოთხრობები. მართლაც, რამდენი ასეთი ცოცხალი მემატიანეა ჩვენს არმიაში, რომელთა გაცნობა და დაახლოება დიდად შეუწყობდა ხელს მწერალს თავდაცვითს თემატიკაზე მუშაობისას?

თემა მრავალია, მხოლოდ მათ მიგნება უნდა. ავიღოთ თუნდაც თემა სამოქალაქო ომისა საქართველოში, როცა ქართველი ხალხი აჯანყებებს აწყობდა თავისი მტრების — მენშევიკების ბატონობის წინააღმდეგ. ამ ბრძოლებში მშრომელთა რაზმებს ხალხის ფენებიდან გამოსული გმირები მეთაურობდნენ. ამ ბრძოლების შესახებ ცოტა რამ არის დაწერილი ჩვენში. ეს მადლიანი თემები მწერლის კალამს მოელიან.

როგორც ხედავთ, სამხედრო თემატიკაზე თვით საქართველოს ცხოვრებიდანაც ბევრი მასალა გვქონია, მაგრამ ამ თემებზე ორი თუ სამი მწერალი მუშაობს მხოლოდ.

ქართველმა საბჭოთა მწერლებმა ჩვეული შემოქმედებითი ინტენსივობით და დიდი პასუხისმგებლობის გრძნობით უნდა მოჰკიდონ ხელი ამჟამად საქართველოში მყოფ პოლკებისა და დივიზიების ისტორიის შედგენას და მის მხატვრულად დამუშავებას. ყოველ პოლკს და ყოველ დივიზიას უნდა ჰქონდეს მხატვრულად კარგად დაწერილი საკუთარი ბრძოლების ისტორია.

ორი ლექსი

ბონდო კეშელავა

თბილისს

მომენატრება, მომინდება შენთან შეხვედრა,
შენი დღეები, ღამეები, ცა გასარკული.
შებინდებისას აენთები, როგორც ვედრება,
მაოცებს მაშინ გამოხედვა შენი ზღაპრული.

როცა შენთან ვარ, შენი სუნთქვით ვარ ანთებული,
უშიშრადა ვარ, ვით რაინდი აბჯარ-ასხმული.
მწამს, ძალა შენი ჩემს ძარღვებთან შეერთებულა,
შენ ხარ სიცოცხლე, ნეტარება და გაზაფხული.

მე შენს მიწაზე დღემდე ბინა არ მიძებნია,
შორი-შორ დავალ, გეკრძალები და გერიდები.
ერთს შემოგივლი გულის ძარღვს და ამაყ მთებიანს,
დაგშორდები და შენი ეშხით ავღილინდები.

ხე წარწერებით

მოგინახულე, ახოვანო ხეო ვერხვისავ,
ბავშვობის შემდეგ არ მინახავს შენი რტოები.
განვლო დღეებმა, მე ტოლებთან ყოფნა მეღირსა,
შენ ისევ აქ ხარ, ამ ფერდობზე განმარტოებით.

შრიალებ, შხუი, მაფშალია ეშხით გიგალობს ,
ყველას უყვარხარ, შენთვის წალდი არვის უხლია.
ბევრჯერ გწვევია: ქარიშხალი, შფოთი, გრიგალი,
შებრძოლებიხარ, შეგიკრავს და ჩაგიმუხლია.

ერთი მაღონებს, გამიმჟღავნე, ხეო ვერხვისავ,
ეს წარწერები, წარწერები მეღერი, ხმოვანი,
ვისი გონებით, ვისი ხელით შემოგეხიზნა,
ვინ გადაგდალა ხე ამაყი და ახოვანი?

ვინ გაიმეტა ეგ მტრედისფრად ნატორი ტანი,
გათქვი, ამხილე, ვერხვო ჩემო, ქარში ნარწევო,
ნუთუ არ სჯობდა ტანი შენი, ფიქრთა წამტანი,
მდგარიყო ლაღად ამხვართული და უწარწერო?.

გიორგი ლეონიძის ეპოპეა ამხანაგ სტალინის ბავშვობისა და ყრმობის წლებზე

შალვა რადიანი

გიორგი ლეონიძე ქართული საბჭოთა პოეზიის მოწინავე წარმომადგენელია. მან განვლო შემოქმედებითი განვითარების რთული გზა. მისი დაბადება დიდ პოეტურ ძალად უშუალოდ დაკავშირებულია საბჭოთა სინამდვილესთან.

ძლევამოსილმა სოციალისტურმა მშენებლობამ ღრმა და კეთილმოქმედებითი გავლენა იქონია გ. ლეონიძის შემოქმედებაზე, გაავსო იგი ახალი სასიცოცხლო შინაარსით. ამიტომ იყო, რომ სწერდა პოეტი:

„ულამაზესი მხოლოდ ის არის,
ვინც ავსებულა თავის დროს ძალით, —
ადიდებული, დამწიფებული,
ყანა, მდინარე, ვენახი, ქალი“...

რევოლუციის შემდეგდროინდელ თავის შემოქმედებაში გ. ლეონიძე მთელ თავის გულისყურს, მთელს თავის პოეტურ შესაძლებლობას აპყრობს ახალი ცხოვრებისა და მისი გმირების ჩვენებას, მათს პოეტურ ამეტყველებას. იგი გულწრფელად და ორგანიულად იბრძვის კომუნიზმის მშენებელი ხალხის ცხოვრების ამსახველი სოციალისტური რეალიზმის პოეზიისათვის.

გიორგი ლეონიძის შემოქმედების მთავარი თემა დღეს არის ხალხთა დიდი ბელადის **სტალინის** გენიალური სახე და საქმე.

საბჭოთა კავშირის მშრომელი მასები გამსჭვალული არიან უსაზღვრო სიყვარულით იმ ადამიანისადმი, რომლის სახელიც წარმოადგენს გამარჯვებული სოციალიზმის დროშას—**სტალინისადმი**. ყოველივე საუკეთესო, რაც კი ხალხის შეგნებაში იბადება, მიძღვნილია მშობლიური ბელადისადმი, რომლის სახეც ჩვენი სახელოვანი გამარჯვებების, ჩვენი მზიური ბედნიერების, ჩვენი მხიარული ცხოვრების სიმბოლოა.

გიორგი ლეონიძის შემოქმედებაში არა ერთხელ პოულობს ღრმა პოეტურ გამოხატულებას ამხანაგ **სტალინის** დიადი სახე. გ. ლეონიძის დიდი გამარჯვება იმაშია, რომ ამ ციკლის ლექსებისათვის მან მონახა ინდივიდუალური ხმა, შეიმუშავა პოეტური თქმის დამოუკიდებელი ხერხი, შექმნა მდიდარი და ორიგინალური მხატვრული სამკაულები.

დიდი პოეტური უშუალობით და გრძნობის სიღრმით მიმართავს გ. ლეონიძე მშობლიურ **სტალინს**:

„ვაჟკაცობა და აზრის დიდება,
სიბრძნე და ბრძოლის ჭეშმარიტება,
ცეცხლი, რომელიც არ იშრიტება,
შენს დიდ სახელში გაერთხმიანდა.
შენ გაგვიხსენი წინ შეკრული გზა,
ბორკილი გასტეხ გათანგულისა;
ხარ ნაჭედობა ხალხის გულისა,
ხალხის სუნთქვასთან გადაჭდობილი.
შენგან, შენ მიერ, ვით შევარდენი,
შენს გმირულ მკერდზე დავიზარდენით
და რაც დამაგრდა შენი მარჯვენით,
გახდა სიმაგრე გაუტეხელი.
დე, ბევრჯერ წლები გადაითვალოს,
დრო ვერ დაალბობს ფოლადს პიტალოს,
შენ—მზეგრძელობა, ხალხის ტიტანო,
სამშობლოს მამავ, დიდო ბელადო!“.

დიდმა **სტალინმა** ხალხს მოუტანა ბედნიერება და თავისუფლება. ამიტომ იყო, რომ საბჭოების სრულიად-საკავშირო მე-8 საგანგებო ყრილობის ტრიბუნიდან გ. ლეონიძე ასე მიმართავდა ახალი ცხოვრების შემომქმედს:

„აჰა, აყვავდა ყვავილად,
შენი ნათესი მარცვალი,
ცეცხლად შეირხა საფლავში,
ტანჯულთა ძვლების ნაცარი!
არ დაუღვრია ტყუილად
ხალხს თავის სისხლის ღვარები.
ასრულდა დიდი ოცნება,
გაჰხსენი ოქროს კარები!
და ხალხს მიეცი ცხოვრება,
დიდი ქარტია მზიანი;
არ ჰყვარებია არავის
შენსავით ადამიანი!
შენ შრომა ათავისუფლე,
ასწიე კაცის სახელი,
კიდევ ერთ მაღალ მწვერვალზე,
ხალხის არწივო, ახველი!“.

მაგრამ გ. ლეონიძე არა მარტო ლექსებით გამოხატავს თავის სიყვარულს ბელადისადმი, არამედ მისი დიადი პიროვნების პოეტური ასახვა მან მოგვცა თავისი შემოქმედებითი მიღწევის საუკეთესო გამოხატულებაში, პოემაში „სტალინის ბავშვობა და ყრმობა“.

გ. ლეონიძის მიერ დაწერილი დიდი ეპოპეის „სტალინის ბავშვობისა და ყრმობის“ პირველი წიგნი უაღრესად მნიშვნელოვანი მოვლენაა ქართულ პოეზიაში. ის შეეხება ამხანაგ **სტალინის** ცხოვრების ბავშვობის წლებს. მეტად თავისებურად აქვს მოფიქრებული პოეტს ნაწარმოების კომპოზიციური შენება. სანამ იგი შეუდგებოდეს ახალი ცხოვრების გენიალური შემომქმედის დაბადებისა და ბავშვობის აღწერას, უპირველეს ყოვლისა გვიხატავს იმ გარემოს, რომელშიაც დაიბადა **სტალინი**.

პოემის დასაწყის თავებში აღწერილია ჩვენი ხალხის გმირული წარსული, ვაჟკაცური ბრძოლა სხვადასხვა ჯურის თავდამსხმელების წინააღმდეგ. ქართლის სოფელი, მთები და ველები, ფართო ჰორიზონტები, სწრაფი მდინარეები და მრისხანე ჩანჩქერები, რაც ასე მახლობელია გ. ლეონიძის პოეტური შემეცნებისათვის, პოემაში ჰქმნიან ფონს მთავარი თემის, ძირითადი სიუჟეტური ხაზის განვითარებისათვის.

გადმოგვცემს რა ბუნების გარემოცვას, პოეტს შემდეგ გადავყევართ იმ ისტორიულ ვითარებაში, როცა ცხოვრება სიბნელით იყო მოცული, როცა გამეფებული იყო ადამიანთა შორის ჩაგვრა და შევიწროება. პოეტის სიტყვით რომ ვსთქვათ, ეს იყო ქვეყანა, რომლის მთები და მინდვრები, ბაღები და მდინარეები ათას წარღვნას გადარჩენია, რომელიც მარადიული თოვლითა და ჩრდილით იყო დაფარული, სადაც მზეს „ამოსახედი ადგილიც კი არ გააჩნდა“.

ქართველი ხალხის ცხოვრებას უფრო აუარესებდნენ სხვადასხვა ქვეყნის თავდამსხმელნი, რომელნიც ბარბაროსულად სწვავდნენ და ანადგურებდნენ ჩვენს ქვეყანას. ეპოპეაში ეს ისტორიული ფონი ფართოდ არის მოცემული.

მიუხედავად ასეთი მძიმე ცხოვრებისა, დამპყრობელთა სისასტიკისა, ხალხს მაინც ვერ წაართვეს „თავისუფლების ამაყი სული“:

„დაგვწვეს, დაგვდაგეს და ვერ წაიღეს
თავისუფლების ამაყი სული.
იგი გადურჩა ბორკილს და ციხეს,
ის მთებში იყო გადახიზნული!“.

გადის ასი და ათასი წელი. იბადება ადამიანი, რომელიც ხალხის მრავალსაუკუნოვან მისწრაფებას თავისუფლებისადმი სინამდვილედ აქცევს.

გ. ლეონიძე ამხანაგ **სტალინის** ბავშვობისა და ყრმობის წლებს გვიხატავს მკვეთრ და ლამაზ ფერებში. მთელ თავის პოეტურ შესაძლებლობას იყენებს იგი დიადი სახის სრულყოფილად ასახვისათვის.

ბელადის სახე ნაწარმოებში გადმოცემულია გმირულ ხაზებში. პოეტი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს გარემოცვის რომანტიზებული ხასიათებით ჩვენებას. ბავშვის დაბადების ასახვას თან მოჰყვება ძველი ზნე-ჩვეულებების დამახასიათებელი ეპიზოდების აღწერა.

მამამ ბავშვის დაბადების დღეს ლხინი გადაიხადა. ყველანი იყვნენ მის სახლში და როგორც პოეტი ამბობს, „ატენური ღვინით სვამდნენ მოსალოცავ სადღეგრძელოს“. მამის უსაზღვრო შვებას იზიარებენ ხელოსნები, რკინიგზის მუშები, მეტივენი და თერძები, მესტვირენი და მჭედლები, რომელნიც შემოკრებილან ახლად გაბედნიერებული ოჯახის გარშემო და უსურვებენ ისეთ ადამიანად გახდომას, რომელსაც ეყვარება „ხალხი და ხალხის ყოვლისშემძლე ძალა“. საზეიმო სიტყვებით და სადღეგრძელოებით გამოხატავენ თავიანთ მხიარულებას ახლად დაბადებული ბავშვის პატივსაცემად ჯუღაშვილების ოჯახში თავმოყრილი ადამიანები; სიმღერები და ხალხური მუსიკალური საკრავები ამხიარულებენ ადამიანთა გულებს. დიდხანს გრძელდება გულთბილი საუბარი უბრალო ადამიანებისა. მოხუცი და ახალგაზრდა გლეხები, მჭედელი, ხურო, რკინიგზის მუშა, — ყველა ესენი საუბრობენ თავიანთი მძიმე ცხოვრების შესახებ.

გ. ლეონიძე **სტალინის** ბიოგრაფიას მრავალფეროვან სურათებში გვაძლევს: როგორ იზრდებოდა იგი, როგორი იყო ის წრე, რომელშიაც გაატარა მან ბავშვობა და ყრმობა. პირველ პლანზეა წამოწეული ბავშვის ცნობისმოყვარე და ნიჭიერი გონება, რომელიც მიისწრაფის ყველაფერი გაიგოს, შეისწავლოს. მას ახასიათებს უაღრესად განვითარებული მეგობრული გრძნობა, პირდაპირობა, მორალური უმწიკვლოება, ხასიათის სიმტკიცე, ბეჯითობა. იგი პირველი მოწაფეა, მაღლა დგას ამხანაგებზე, მაგრამ ეს ხელს არ უშლის მთელი გატაცებით ჩაერიოს კრივში, არსენობა ითამაშოს, ლიახვი გასცუროს, ამხანაგებთან ერთად შეასრულოს სიმღერები და სხვ. მისთვის უცნობი არ არის ხალხის ცხოვრების არც აწმყო, არც წარსული. ამ გზით, ამ საშუალებით ახალგაზრდა **სტალინში** თანდათან ყალიბდება იმის შეგნება, რომ ხალხი დიდ გასაჭირშია ჩაყენებული, რომ ხალხს ესაჭიროება დახმარება, რათა გამოყვანილ იქნას მძიმე მდგომარეობიდან, მიეცეს მას თავისუფლება.

ეპოპეაში ბევრგან არის აღნიშნული ძველი ცხოვრების სიბნელე და საშინელება. ხალხი გრძნობდა, რომ ამ მძიმე მდგომარეობიდან გამოსვლა მას მხოლოდ ბრძოლის გზით შეეძლო.

ხალხის ეს გამოღვიძება, მისი დარაზმვა უკვე შემდეგ დროს ეკუთვნის, როდესაც ამხანაგი **სტალინი** მარქსისტულ-ლენინური შეგნებით შეიარაღებული რაზმავს მასებს თვითმპყრობელობის, ბურჟუაზიისა და მემამულეების წინააღმდეგ საბრძოლველად. ეპოპეის ეს ნაწილი თავდება ფართო პერსპექტივის გადმომცემი სიტყვებით:

„სხივაკრეფილი მზე ჩადის,
ვარსკვლავმაც შეიჭახჭახა...
მზე ჩადის...
მზე ხვალ ამოვა,
უფრო დიდი და ჭახჭახა“.

უნდა ვიფიქროთ, რომ ეპოპეის შემდეგ ნაწილში სწორედ ეს მოვლენები იქნება ნაჩვენები. როგორც ვიცით, პოეტს სამ წიგნად აქვს განზრახული ამ ნაწარმოების დაწერა.

გ. ლეონიძე თავის ნაწარმოებში ცდილობს თემის მაღალ-პოეტური საშუალებებით ჩამოყალიბებას. ამას იგი კარგად ახერხებს. ნაწარმოებში არის ოსტატურად დაწერილი თავები. ასეთია, მაგალითად, „ქართლის ბაღი“, რომელსაც პლასტიურობა, ორიგინალური სახეები და თქმები ახასიათებენ.

გ. ლეონიძის პოეტურ მუშაობაში საგრძნობია ცდა ხალხურ პოეზიასთან დაახლოვებისა. როგორც ვიცით, კლასიკურ პოეზიას თავის ერთ-ერთ წყაროდ სწორედ ხალხური სიმღერა, ფოლკლორი ჰქონდა. უდიდესი პოეტები სარგებლობდნენ ხალხური პოეზიით, როგორც მდიდარი მასალით, რომელსაც თვითეული თავისებურად იყენებდა. გოეთემ, პუშკინმა, ი. ჭავჭავაძემ, ა. წერეთელმა და სხვებმა საკმაოდ ბევრი მიიღეს ხალხურ პოეზიიდან როგორც ფორმის, ისე მოტივების და თემების მხრით. კლასიკურ პოეზიაში ხალხური პოეზიიდან შევიდა მხატვრული სახის კონკრეტულობა, ლირიკული გამოთქმის უშუალობა, ფორმის ჰარმონია და სხვ. ნამდვილი მხატვრული ფოლკლორი ხასიათდება სოციალური განზოგადოების კოლოსალური ძალით, ტიპიზაციის გარკვეულობით, ხედვის განსაკუთრებული სიმკვეთრით. ხალხური პოეზია სინამდვილეს ითვისებს ფართოდ და ღრმად, ღებულობს მას ყველა მის განზომილებაში, და ამიტომაც მისთვის უცხოა ნატურალისტების ფოტოგრაფიზმი და გამოსახვითი საშუალებების სიღარიბე.

გ. ლეონიძის დიდი ღირსება მდგომარეობს იმაში, რომ იგი არა თუ უგულებელჰყოფს ხალხურ შემოქმედებას, არამედ განსაკუთრებულ ინტერესსა და სიყვარულს ამჟღავნებს მისდამი. მას კარგად აქვს შეგნებული, რომ პოეტური წინსვლის საქმეში, შემოქმედებითი ამაღლების საქმეში ფოლკლორს თვალსაჩინო დახმარების გაწევა შეუძლიან. ხალხური პოეზიის პრინციპები განსაკუთრებით აქვს გამოყენებული გ. ლეონიძეს „ბავშვობასა და ყრმობაში“.

გ. ლეონიძის ლექსები პლასტიურია, ქანდაკებასავითაა ჩამოთლილი. იგი საუცხოვო მხატვარია, უყვარს ბრწყინვალე მორთულობა ლექსისათვის. მისი ლექსები გვაკვირვებენ მეტაფორებისა და შედარებების ორიგინალობით.

გ. ლეონიძე თავის ნაწარმოებებში დიდი პოეტური ტემპერამენტით უმღერის ბედნიერ და განახლებულ სამშობლოს. მისდა სასახელოდ უნდა ითქვას, რომ იგი მთელი უშუალობით შევიდა საბჭოთა პოეზიაში.

საბჭოთა ქვეყნის სხვა მოწინავე ადამიანებთან ერთად გიორგი ლეონიძისათვის მეტად საპატიო ჯილდოს—სტალინის სახელობის პრემიის მიკუთვნება, ნათლად მიუთითებს იმაზე, თუ პარტია და მთავრობა როგორ ღირსეულად აფასებს სოციალისტური სამშობლოს ყოველ თავდადებულ მუშაკს—მეცნიერს, მსახიობს, მწერალს და სხვებს, რომლებიც თავიანთი მოღვაწეობის დარგებში დიდი მნიშვნელობის მიღწევებს იძლევიან.

ᲮᲐᲚᲮᲣᲠᲘ ᲨᲔᲛᲝᲥᲛᲔᲓᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲦᲬᲔᲕᲐᲗᲐ ᲓᲔᲛᲝᲜᲡᲢᲠᲐᲪᲘᲐ

სამი წლის წინად ხალხური შემოქმედების სახლთან ჩამოყალიბდა სახვითი ხელოვნების ექსპერიმენტალური სახელოსნო. ამ სახელოსნომ იმ თავითვე შემოიკრიბა თავის ირგვლივ ხალხურ სახვითი ხელოვნების დარგში მომუშავე ოსტატები, რომელთა რიცხვიც ძალიან მცირე იყო.

სახელოსნოს მიზანი იყო — აღედგინა ხალხური შემოქმედების მეტად თავისებური და საინტერესო სახეები, გადაეცა ჩინებული ოსტატების გამოცდილება ახალგაზრდებისათვის და ამით გაემაგრებინა ხალხური სახვითი ხელოვნება და მიეცა მისთვის მეტი გასაქანი.

მხატვრული ქარგვა, მხატვრული დაჩითულობა, ლითონის მხატვრული დამუშავება, ხის მხატვრული დამუშავება, სპილოს ძვალზე კვეთილობა, მხატვრული კერამიკის ნაწარმოებები, ქვის კვეთილობა, ხალიჩების ქსოვა, ფერწერა და ხალხური სახვითი ხელოვნების სხვა სახეები მოითხოვდნენ გულისყურს, ახალი კადრების აღზრდას, დაძაბულ მუშაობას.

სახელოსნო დღითი-დღე იზრდებოდა. იქმნებოდა სახვითი ხელოვნების ნიმუშები, რომლებიც დიდს ტრადიციებს ამჟღავნებდნენ. იმავე დროს ისინი ცხადჰყოფდნენ, რომ ამ ხელოვნებას აქვს განვითარების უდიდესი შესაძლებლობა, უდიდესი პერსპექტივა.

პირველსავე წელს მოეწყო ნამუშევრების გამოფენა. მეორე წელს ხალხური შემოქმედების სახლი ექსპონატებს ჰგზავნის საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე. მონაწილეობას იღებს მოსკოვში მოწყობილ თემატიურ გამოფენაში: „ლენინი და სტალინი სახვით ხელოვნებაში“.

წელს კი, საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების ოცი წლისთავის დღესასწაულთან დაკავშირებით ხალხური შემოქმედების სახლმა მოაწყო მეტად საინტერესო გამოფენა. ხელოვნების ოსტატთა კლუბის დარბაზები ძლივს იტევენ მრავალფეროვან ექსპონატებს. ყოველი ექსპონატი დიდის სიყვარულით და გემოვნებით არის შესრულებული.

გამოფენის პირველ განყოფილებაში მხატვრული ქარგვის ექსპონატებია მოცემული. აქ არის შესანიშნავად შესრულებული ბელადების პორტრეტები, თემატიური სურათები. მათ შორის განსაკუთრებით გამოირჩევა ი. სულხანიშვილის, ფალიაშვილისა და ნ. კიკვიძის ნამუშევარი.

მაღალი ოსტატობით არის შესრულებული სურათი „კოლმეურნეობის სიუხვე ციტრუსების ფონზე“. ეს სურათი ამოქარგულია ო. ციციშვილის, მ. წერეთლისა და თ. ზულიაშვილის მიერ.

ამ განყოფილებაშივე მრავლად არის წარმოდგენილი ყოფითი ნივთები: დორი, ფარდები, ბალიშები, სუფრები, თეჯირები და სხვ. განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს თეჯირი (შირმა). აქ მოცემულია ხეზე კვეთილობისა და ქარგვის შესანიშნავი ნიმუშები. ამ თეჯირზე ემუშავნიათ თ. გედევანიშვილს, თ. ზულიაშვილს, ო. ციციშვილს, მგელაძეს, ბოლოტინს, ს. გორგინიძეს, ე. სამუნჯიანს, ა. ოვანესიანს და დ. გუდაძეს.

განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს მხატვრული დაჩითულობის განყოფილება. ხალხური შემოქმედების ეს დარგი დღევანდლამდე მთლად მივიწყებული იყო. მხოლოდ ახლახან, საბჭოთა ხელისუფლების დროს აღსდგა იგი. ამ განყოფილებაში წარმოდგენილი ექსპონატები ნათლად ამტკიცებენ, თუ რა დიდი შესაძლებლობაა ამ დარგში, რა მრავალფეროვნად შეიძლება წარიმართოს მხატვრული დაჩითულობის საქმე ჩვენში. პანოები, დეკორატიული სუფრები, ქალის თავსაფრები, ყელსახვევები, ბალდადიბი და სხვა ამისთანები შესანიშნავად შერჩეული ფერებით და ნახაზებით არის შესრულებული.

აქ თავმოყრილ ექსპონატებში გამოირჩევიან ო. თავაძისა და ა. კარიკოვის ნამუშევარი.

მესამე განყოფილებაში წარმოდგენილია ლითონის მხატვრული დამუშავება — ჭედურობის, სევადური და გრეხილური ხელოვნების ნიმუშები. აქ არის გამოცდილი ოსტატების გ. ხანდამაშვილის, თ. ჯიქიას და ა. ჯიქიას მიერ შესრულებული ექსპონატები. აქვეა ამ ოსტატთა მიერ აღზრდილი ახალგაზრდა ოსტატების ნამუშევრები. ამ განყოფილების თვალსაჩინო ექსპონატია ვერცხლის დაფა მრავალსახიანი ფიგურებით.

გამოფენაზე ფართოდ არის წარმოდგენილი ხის მხატვრულად დამუშავება (ხეზე კვეთილობა, ხეზე ამოწვა და ხეზე მოჭედვა). ამ დარგში გამოირჩევა ბოლოტინისა და ავალიშვილის ნამუშევარი.

მრავლად არის წარმოდგენილი ხეზე ამოწვის ნიმუშები. ამ დარგში ოსტატი ე. სტასენკო მართლაც ვირტუოზობას აღწევს. მის მიერ მრავალ თემაზე წარმოდგენილი ექსპონატები აოცებენ მნახველს შესრულების მაღალი ოსტატობით. ამ ოსტატს ერთნაირად ეხერხება როგორც პორტრეტების, ისე ჯგუფური, თემატიკური სურათებისა და პეიზაჟების ამოწვა ხეზე.

მეტად საინტერესო ოსტატად იზრდება მისი მოწაფე მ. სალამაძე. ამ გამოფენაზე წარმოდგენილი მისი ნატურმორტი ფერადებით ნამუშევრის შთაბეჭდილებას ახდენს.

ამავე განყოფილებაშია გამოფენილი ხეზე მოჭედვის ნიმუშები და ხალხური მუსიკალური საკრავები.

სპილოს ძვალზე კვეთილობა წარმოდგენილია ჰ. დევკანცის ნამუშევრით. აქ არის მეტად ფაქიზად შესრულებული **ვ. ლენინისა და ი. სტალინის** პორტრეტები. ამავე ოსტატის მიერ სპილოს ძვალზე ამოკვეთილია **ქ. ჩარკვიანის, ვ. ბაქრაძისა და ფ. მახარაძის** პორტრეტები.

მრავალფეროვანია კერამიკული განყოფილება, სადაც გამოფენილია ზ. მაისურაძის, შ. თოიძის, ი. კბილაშვილის და სხვათა ნამუშევარი.

ქვის კვეთილობის დარგი წარმოდგენილია ბატრაკოვისა და შ. მარადაშვილის ნამუშევრით.

ხალების განყოფილებაში ყურადღებას იპყრობს ნაგი იბრაჰიმ ზადეს მიერ მოქსოვილი ხალი, რომელზედაც გამოსახულია სურათი **„ი. სტალინი და ლ. ბერია თბილისში“**. სურათი მოქსოვილია უჩა ჯაფარიძის ესკიზის მიხედვით. დიდი გემოვნებით შეურჩევია ოსტატს ფერები, კარგად აქვს მოცემული ფერების გადასვლა და სხვა. მთლიანად ეს ექსპონატი თავისებური ფერწერის ნიმუშს წარმოადგენს.

მ. შევალიესა და ს. ხითაროვას ნამუშევარი წარმოდგენილია კალათების მხატვრული დაწვნის დარგში.

ფერწერა წარმოდგენილია ბუტულაშვილის, შ. მარადაშვილის, ოქროპირიძის, გრიგორიანისა და შენგელიას ნამუშევრით. მათ შორის ყურადღებას იპყრობენ შ. მარადაშვილის სურათები. განსაკუთრებით კარგად არის შესრულებული ნატურმორტები.

გამოფენაზე ცალკე დარბაზი აქვს დათმობილი თეატრალური კოლექტივების მიღწევების ჩვენებას. აქ არის დადგმების მაკეტები, თეატრალური კოლექტივების წევრთა სურათები როლებში, აფიშები და სხვ.

საერთოდ ეს მეტად საინტერესო გამოფენა დიდი ყურადღების ღირსია.

ხალხური სახვითი ხელოვნების საქმეს მეტი გასაქანი უნდა მიეცეს. უნდა გააფართოვონ ხალხური შემოქმედების სახლის სახელოსნოები, რომ მათ აღზარდონ ახალი კადრები, უხელმძღვანელონ კლუბებთან არსებულ თვითმოქმედებითს წრეებს, ზეგავლენა მოახდინონ ყოფითი ინვენტარზე მომუშავე სარეწაო კავშირის არტელებზე.

ჩ. ნ.

ᲕᲐᲚᲔᲠᲘᲐᲜ ᲒᲐᲤᲠᲘᲜᲓᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲮᲡᲝᲕᲜᲘᲡ ᲡᲐᲦᲐᲛᲝ

18 მარტს მწერალთა კლუბში გაიმართა ორდენოსან პოეტის ვალერიან გაფრინდაშვილის ხსოვნის აღსანიშნავი საღამო. საღამოს დიდძალი საზოგადოება დაესწრო, რამაც ერთხელ კიდევ ცხადჰყო თუ რა დიდად აფასებს ჩვენი ლიტერატურული და მკითხველი საზოგადოებრიობა უდროოდ დაკარგული პოეტის ლიტერატურულ ღვაწლს.

საღამო დაიწყო **სიმონ ჩიქოვანის** შესავალი სიტყვით. მან დაახასიათა ვ. გაფრინდაშვილის შემოქმედებითი თავისებურება და მისი ადგილი ახალ ქართულ პოეზიაში.

ამავე თემაზე უფრო ვრცელი მოხსენება წაიკითხა **შალვა რადიანმა.**

ვალერიან გაფრინდაშვილზე, როგორც პოეტზე, საზოგადოებრივ მოღვაწეზე, ადამიანზე და მეგობარზე სიტყვები წარმოსთქვეს **ლევან ასათიანმა, გიორგი ლეონიძემ, ვასო გორგაძემ და ბესო ჟღენტმა**, რომლებმაც აღნიშნეს ვ. გაფრინდაშვილის დიდი დამსახურება ახალი ქართული პოეტური კულტურის ჩამოყალიბებისა და საბჭოთა პოეზიის განვითარების საქმეში.

ზემოხსენებულ ორატორთაგან ამ საღამოს გამოთქმული იმ აზრის ჭეშმარიტება, რომ ვ. გაფრინდაშვილის ლირიკული ლექსები, საბჭოთა პერიოდში შექმნილნი, რჩებიან ისეთ პოეტურ დოკუმენტებად, რომელსაც კიდევ დიდხანს მიმართავს საბჭოთა ადამიანი თავისი უფაქიზესი გრძნობების და განცდების გამოსახატავად, — ამ აზრის ჭეშმარიტება ცხადჰყვეს სახალხო მსახიობის ორდენოსან **თამარ ჭავჭავაძის** მიერ ამ საღამოს დიდი გრძნობით წარმოთქმულმა ვ. გაფრინდაშვილის ლექსებმა.

კიდევ ერთხელ გამოჩნდა ამ საღამოს ვალერიან გაფრინდაშვილი, როგორც კლასიკური ლიტერატურული ნაწარმოების შესანიშნავი მთარგმნელი, ფრანციისა და ამალიას დიალოგში (შილერის „ყაჩაღებიდან“), რომელიც კომპოზიტორ **ანდრო ბალანჩივაძის** მუსიკის აკომპანიმენტზე დიდის ოსტატობით შეასრულეს დამსახურებულმა არტისტმა **ვერიკო ანჯაფარიძემ** და მსახიობმა **ს. ზაქარიაძემ.**

ვალერიან გაფრინდაშვილისადმი მიძღვნილი თბილი გრძნობით გამსჭვალული საკუთარი ლექსი წაიკითხა პოეტმა **კალე ბობოხიძემ**, ვალერიან გაფრინდაშვილის ლექსები წაიკითხეს პოეტებმა **გრიგოლ ცეცხლაძემ** და **ბონდო კეშელავამ.**

საზოგადოება გულთბილად შეხვდა ამ შინაარსიანი საღამოს ყველა მონაწილეს.

ᲟᲣᲠᲜᲐᲚ „ᲞᲘᲝᲜᲔᲠᲘᲡ“ ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲘᲡ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲐ ᲣᲜᲓᲐ ᲒᲐᲠᲓᲐᲘᲥᲛᲜᲐᲡ

თვითკრიტიკის ნიშნის ქვეშ ჩატარდა 15 მარტს საბავშვო მწერლების სექციის მიერ მწერალთა კლუბში მოწყობილი თათბირი ჟურნალ „პიონერის“ შესახებ.

ილია სიხარულიძემ 1940 წლის „პიონერის“ ვრცელი მიმოხილვა გააკეთა. მომხსენებელმა დეტალურად გაარჩია ჟურნალის ცალკეული ნომრები, აღნიშნა ჟურნალის სქემატიურობა, ერთფეროვნება, ზოგიერთი მასალის სისუსტე.

მოხსენების გარშემო გამართულმა კამათმა ცხარე ხასიათი მიიღო. კამათში გამოსული ამხანაგები სამართლიანად აკრიტიკებდნენ ჟურნალ „პიონერის“ რედაქციის მუშაობას, არჩევდნენ ცალკეულ ნომრებში მოთავსებულ მასალას.

ჟურნალი ვეღარ აკმაყოფილებს პიონერთა მოთხოვნილებას, — ამბობს როდიონ ქორქია, — იქ მრავლად იბეჭდება შემთხვევითი მასალა. რედაქცია არა ცდილობს თავის ირგვლივ შემოიკრიბოს გამოცდილი პედაგოგები და საბავშვო მწერლები, არა აქვს ურთიერთობა მშობლებთან, არ ამოწმებს თავის მუშაობას უშუალოდ მკითხველთა აუდიტორიაში.

ნ. ნაკაშიძე უსაყვედურებს პრესას— საბავშვო მწერლობას ნაკლებ ყურადღებას აქცევსო. სისტემატურად უნდა იბეჭდებოდეს კრიტიკული სტატიები საბავშვო მწერლობაზე, საბავშვო მწერლებზე, მათ ცალკეულ ნაწარმოებებზე.

ნიკოლოზ ჩაჩავა ჟურნალის რედაქციას მიუთითებს პროფილის უქონლობას. იგი მასალის შერჩევაში ნაკლებად განსხვავდებაო „ოქტომბრელისაგან“. „პიონერის“ რედაქცია არ იცნობს თავისი მკითხველის დონეს და ამიტომ ჟურნალში დაბეჭდილი მასალის უმრავლესობა ვერ აკმაყოფილებს ამ ასაკის ბავშვთა გაზრდილ მოთხოვნილებას. მასალის შერჩევა ხდება ყოველგვარი გეგმის გარეშე. მწერლები, მეცნიერი მუშაკები, პედაგოგები არ არიან შემოკრებილნი ჟურნალის ირგვლივ, რაც უარყოფითად მოქმედებს ჟურნალის ხარისხზე.

ჟურნალის წამყვან ძალას უნდა წარმოადგენდნენ არა დამწყები მწერლები, არამედ გამოცდილი ოსტატები, — ამბობს სიმონ წვერავა, — იგი უსაყვედურებს მწერალთა კავშირს საბავშვო მწერლობის მიმართ ნაკლებ ყურადღებას, მოითხოვს სისტემატურად ეწყობოდეს საბავშვო ჟურნალების და საბავშვო მწერლების ნაწარმოებთა საჯარო განხილვა.

ლავრენტი ჭიჭინაძის აზრით, საჭიროა ჟურნალ „პიონერში“ ბავშვთა შემოქმედება ცალკე განყოფილებად გამოიყოს. ამ განყოფილების მიზანს ნიჭიერ ბავშვთა გამოვლინება უნდა შეადგენდეს. ჟურნალში უნდა იბეჭდებოდეს მრავალფეროვანი და მცირე ზომის მასალა.

ელ. აგლაძეს მოჰყავს იმის რამდენიმე მაგალითი თუ რა გულგრილად ეკიდება საბავშვო პრესას და პერიოდიკას ზოგიერთი მწერალი. ბავშვთა მხატვრული აღზრდა მარტო საბავშვო ჟურნალებისა და გაზეთების საქმე როდია, ამაში უაღრესად დაინტერესებული უნდა იყვნენ თვით მწერლები; მწერალთა კავშირი უნდა გვეხმარებოდეს ჩვენ, სარედაქციო მუშაკებს, ამ ფრიად საპასუხისმგებლო საქმეში.

კამათში მონაწილეობა მიიღეს აგრეთვე გრ. ორახელაშვილმა, პლ. კეშელავამ და ქ. ჯავრიშვილმა.

ჟურნალ „პიონერის“ რედაქტორმა ან. დულარიძემ ილაპარაკა ჟურნალის პროფილის შესახებ.

თათბირის თავმჯდომარემ გიორგი კაჭახიძემ საბოლოო სიტყვაში აღნიშნა თათბირის საქმიანი ტონი და მოკამათეთა სამართლიანი შენიშვნები ჟურნალის მუშაობის შესახებ.

ჟურნალ „პიონერის“ გარშემო გამართული თათბირი არ უნდა დარჩეს უბრალო აზრთა გაცვლა-გამოცვლად. აქ გამოთქმული მითითებანი ჟურნალის რედაქციამ უნდა გამოიყენოს თავისი მუშაობის გარდასაქმნელად.

ᲡᲐᲘᲣᲑᲘᲚᲔᲝ ᲡᲐᲛᲮᲐᲢᲕᲠᲝ ᲒᲐᲛᲝᲤᲔᲜᲐ

Ქ. ᲗᲝᲤᲣᲠᲘᲫᲔ

დიდ ისტორიულ თარიღს — საბჭოთა საქართველოს არსებობის ოცი წლისთავს ქართული ფერწერის, სკულპტურისა და გრაფიკის მუშაკებმა თავიანთი შემოქმედების საუკეთესო ნიმუშებისაგან შეკრებილი არტისტული თაიგული მიუძღვნეს.

საბჭოთა საქართველოს სახვითი ხელოვნების მუშაკებმა ამ უკანასკნელი 20 წლის მანძილზე ინტენსიური შემოქმედებითი ბრძოლა ჩაატარეს. საიუბილეო გამოფენა მოწმობს, რომ ეს ბრძოლა წარმატებით მიმდინარეობდა და მიმდინარეობს და რომ დღეს, იგი უკვე სოციალისტური რეალიზმის სასარგებლოდ სწყდება.

პირველი დათვალიერების შედეგად მიღებული საერთო შთაბეჭდილებაც საშუალებას გვაძლევს დავახასიათოთ ეს გამოფენა ორის მხრით. ერთი: აქ განუყოფლად ბატონობს საბჭოთა თემატიკა, აქ არის ჩვენი მოწინავე ადამიანების პორტრეტები, საკოლმეურნეო ცხოვრების სცენები, სოციალისტური მშენებლობის სხვადასხვა უბნები და აგრეთვე ისტორიულ გმირთა ძვირფასი სახეები (გიორგი სააკაძე); მეორე: გამოფენილი ნიმუშების უმეტეს ნაწილს ახასიათებს უკვე მხატვრული ოსტატობის უფრო მაღალი დონე, ვიდრე ეს აქამდის იყო. ამ უკანასკნელ წლებში გამოფენების არტისტულ ღირსებას იცავდა მხოლოდ უფროსი თაობის ხელოვანთა ოსტატობა, ეხლა მათ გვერდში ამოუდგნენ მთელი რიგი ახალგაზრდა ხელოვანნი, რომელთაც შეუძლიათ დააკმაყოფილონ ოსტატობის მაღალი მოთხოვნები.

სოციალისტური რეკონსტრუქციის თემაზე არის აგებული ილინი ახვლედიანის სურათი „ამხანაგი **ლავრენტი ბერია** კალიაევის დაღმართის მშენებლობაზე“. მხატვარი იძლევა ამხანაგ **ლ. ბერიას** მიერ ამ ობიექტის მშენებლობის დათვალიერების ერთ-ერთ მომენტს. ამხანაგ ბერიასთან არიან მუშები, მას თან ახლავან ჩვენი მოწინავე ინჟინრები და ხუროთმოძღვრები. საქართველოს ბოლშევიკების მეთაური და მის ირგვლივ მყოფი ჩვენი მოწინავე ადამიანთა ჯგუფი მოცემულია ცოცხლად, პორტრეტული მსგავსების სიზუსტით, მაგრამ მხატვარი ამ ტილოზე იძლევა არა მარტო ჩვენს საუკეთესო ადამიანებს, არამედ მათ მიერ გაკეთებულ დიდ საქმეს — ახალი თბილისის უზარმაზარ ნაგებობას, რკინა-ბეტონში ჩამჯდარს, რომელიც თამამ რეპლიკას აძლევს ყოფილ „ციციანოვის“ დაღმართის სალ კლდეს და უპირისპირდება ძველი თბილისის იდილიურ ეგზოტიურ პეიზაჟს. აქ საინტერესოა ფერადების კონტრასტი: რკინა-ბეტონის მუქი ფერების მძლავრი სიმფონია და ძველი თბილისის მომაკვდავი ლირიკის ნაზი ფერები.

ყურადღებას იპყრობს ლადო გუდიაშვილის სურათი „წითელი არმიის შეხვედრა თბილისში“. ამ სურათში ერთხელ კიდევ დადასტურდა ის, რომ ლადო გუდიაშვილი კომპოზიციის დიდი ოსტატია: ფიგურების, შენობების და საგნების განლაგება ამ სურათზე უაღრესად მიზანშეწონილი და ეფექტიანია. ფერადოვანი გამმა, რომელსაც იყენებს ეხლა გუდიაშვილი, უფრო ღია და გამჭვირვალეა, ვიდრე ეს აქამდის ახასიათებდა მას. იგი ჩვეულებრივი ოსტატობით იყენებს მას, მაგრამ ტიპაჟის ფსიქოლოგიის გადმოცემა ვერ არის მიღწეული თანაბარი ექსპრესიით. მაგალითად, ჩვენ უფრო მეტს გვეუბნებიან აივნებიდან და ფანჯრებიდან გადმოყუდებული ძველი თბილისის ტიპები, ვიდრე წინა პლანზე მოცემული ფიგურები.

დიდი შემოქმედებითი ანტრაქტის შემდეგ, საჯაროდ გამოდის ამ გამოფენაზე თავის სურათით „საბჭოთა დღესასწაული იმერეთში“ დიდი მხატვრული კულტურის მქონე დავით კაკაბაძე. ხავერდოვანი მრავალფეროვანი ხალიჩასავით გაშლილ იმერეთის პეიზაჟის ფონზე მოცემულია სოფლის მშრომელთა მიტინგი, წითელი დროშებით და ბელადთა პორტრეტებით მორთული. ჩვენ ვერ ვხედავთ ამ მიტინგზე მონაწილე ფიგურების ცალცალკე დახასიათებას — როგორც ეტყობა, ეს კი არ აინტერესებდა მხატვარს; მთავარი, რის გადმოცემაც მას სწადდა, არის ის რაც აკავშირებს სურათის ორ ნაწილს, წინა პლანს და ფონს: ფერების აღზევებული ხასიათი ბუნებაში და მიტინგზე დამსწრე მასაში. მხატვარი თითქოს სცდილობს სურათის ამ ორი ნაწილის ფერადოვან შეხამებას და ერთი სულისკვეთებით მათ დაკავშირებას. ჩვენ გვგონია, რომ მან ამას მიაღწია.

ძალიან საინტერესოა კორნელი სანაძის მიერ მოცემული დიდი ტილო „სოფლის პეიზაჟი საღამოს“, სადაც მხატვარი თამამად უდგება წმინდა ფერწერითი ამოცანების გადაჭრას. ჩვენ წინ არის დასავლეთ საქართველოს სოფლის ერთი კუთხე, სადაც ბროწეულის ხის ქვეშ ზის მოხუცი გლეხი, რომელსაც თავზე დასდგომია პატარა ბიჭი, გვერდში კი უზის და წიგნს უკითხავს პატარა გოგონა; იქვე მიყუჩებულია ცხვრის ფარის მცველი ვეებერთელა ძაღლი, ხოლო ოდნავ მოშორებით მოსჩანან მწვანე მოლზე გაწოლილი თეთრი ცხვრები. ჩამავალი მზის შუქი უკანასკნელად თამაშობს ხის წვერზე და ზემო შტოებზე. ბუნება იძინებს. იდილიური ატმოსფეროთ არის გამსჭვალული ყველაფერი: ბუნება, ადამიანი და პირუტყვი. სურათი ემოციურად მეტყველებს, მაგრამ მთავარი, რაც ამ სურათშია, არის ფერადების თამაში, კოლორიტი. ამ მხრივ აღსანიშნავია ფერადების თამაში ხეების შტოებზე, ბიჭის ფიგურაში, ძაღლისა და ცხვრების სილუეტებზე. სამწუხაროდ, მთლიანობას არღვევს ზოგიერთი დეტალის დაუმთავრებლობა, მაგალითად გოგონას ხელები (სადაც პროპორცია არ არის დაცული) და გადაჭარბებით გაშავებული უკანა ფონი.

მხატვარი ვეფხვაძე წარმოდგენილია ორი დიდი სურათით: „ამხანაგ **ლ. ბერიას** მოხსენება საბჭოთა ინტელიგენციის კრებაზე თბილისის საოპერო თეატრში“, „ოქტომბრის დღეები ლენინგრადში“ და **ლ. ბერიას** პორტრეტით. ჩვენ ყველაზე უფრო მოგვეწონს **ლ. ბერიას** პორტრეტი, სადაც კარგად არის გადმოცემული არა მარტო ფიზიკური მსგავსება, არამედ ფსიქოლოგიური დახასიათებაც საქართველოს ბოლშევიკების მეთაურისა. სასიამოვნოა ამ პორტრეტზე ფერადების შეზავებაც. ამას ვერ ვიტყვით ზემოთ დასახელებულ ორ დიდ სურათზე, სადაც სჭარბობს გაუმართლებელი ტონები. მართალია, ვეფხვაძე დიდი შემოქმედებითი შესაძლებლობის მხატვარია, მაგრამ ამ სურათებზე მან ჯერჯერობით ვერ მოგვცა ყველაფერი ის, რაც მას შეუძლიან. მისი ორი დიდი ტილო ისეთ შთაბეჭდილებას სტოვებს, თითქოს ეს იყოს გაფერადებული ილუსტრაცია და არა დამოუკიდებელი სურათი.

საჭიროა აღვნიშნოთ აგრეთვე უმცროსი თაობის ორი წარმომადგენელი — კოტე გძელიშვილი და ვახტანგ ჯაფარიძე, რომელთაც აშკარად ეტყობათ დიდი შემოქმედებითი ზრდა: პირველმა მოგვცა გულწრფელი, სადა მანერით შესრულებული პეიზაჟი „ევკალიპტის ტყეში“, რომელიც სავსეა ჰაერით და ნაზი კოლორიტით, მეორემ კი — „ოქტომბრის დემონსტრაცია თბილისის სანაპირო ქუჩაზე“, სადაც წარმატებით არის გადაჭრილი მხატვრის მიერ დიდი ხალხური მასების პლასტიური გადმოცემის პრობლემა და კარგად არის გამოვლინებული თბილისის შემოდგომის ფერადების მოციმციმე მომხიბლაობა.

უხვად არის წარმოდგენილი ამ გამოფენაზე ფერწერის ისეთი რთული და საინტერესო ჟანრი, როგორიც არის პორტრეტი. აქ, უპირველესად ყოვლისა, უნდა დავასახელოთ ქეთო მაღალაშვილის მიერ შესრულებული პორტრეტი — „მსახიობი ვ. ანჯაფარიძე მარგარიტა გოტიეს როლში“, რომელსაც ახასიათებს მაღალი გემოვნების საფუძველზე შეხამებული ფერადები, თბილი ტონი და ფსიქოლოგიური ექსპრესიულობა.

მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს გამოფენაზე ჩვენი ახალგაზრდა მხატვრების ერთ-ერთ უნიჭიერეს წარმომადგენელს უჩა ჯაფარიძეს, რომელმაც მოგვცა ორი დიდი პორტრეტი. ერთია „ამხანაგ **სტალინის** პორტრეტი“, რომელიც იძლევა დიდი ბელადის პორტრეტის ცნობილ ვარიანტს; მეორეა—„კომპოზიტორ ზაქარია ფალიაშვილის პორტრეტი“, რომელიც დიდ მოვლენას წარმოადგენს არა მხოლოდ მხატვარ უ. ჯაფარიძის შემოქმედებაში, არამედ ჩვენი საბჭოთა ფერწერის განვითარების დღევანდელ ეტაპისათვის. პორტრეტის შესრულების ტექნიკა, ე. ი. ხაზის სიწმინდე, ფერადების გამოყენების უნარი, მათი ფაქტურა, შუქჩრდილით თითქმის ვირტუოზული სარგებლობა, — ყველაფერი ეს მაღალ დონეზეა. მაგრამ ეს ტექნიკა ემსახურება არა პორტრეტზე მოცემული ადამიანის მხატვრულ განსახიერებას, არამედ მისი გარეგანი ფორმის ფოტოგრაფიულად ზუსტ გადმოცემას. ჩვენ მაინც ვფიქრობთ, რომ ეს მხატვრის სურვილის გარეშე მოხდა, რადგანაც, როგორც ჩვენ ვიცით, მხატვარს ამ პორტრეტის დახატვა უხდებოდა ფოტოგრაფიის მიხედვით, და ამ გარემოებამ შექმნა ამგვარი „ნატურალისტური“ საფრთხე, რომელსაც, ჩვენის აზრით, დროებითი და გარდამავალი ხასიათი აქვს. ამის თავდებია ამ პორტრეტის ერთი ნაწილი: — მაგიდაზე დადგმული ყვავილები, სადაც ბევრი რამ არის მოცემული კარგი ფერწერისაგან. ვიმედოვნებთ, რომ ნიჭიერი მხატვარი უთუოდ დასძლევს „ნატურალისტურ“ საფრთხეს.

კარგია ბლიოტკინის მიერ შესრულებული „ამხანაგ **ლავრენტი ბერიას** პორტრეტი“ და ბაჟბეუკ-მელიქოვის „სახალხო არტისტის ა. ხორავას პორტრეტი“.

პორტრეტის ჟანრის განხილვის დროს უნდა დავასახელოთ აგრეთვე ახალგაზრდა მხატვარი ქ. კიკნაძე, როგორც პიონერი „ჯგუფური პორტრეტისა“ ჩვენს მხატვრობაში. მან მოგვცა გულწრფელობით შესრულებული სურათი „ამხანაგი **ლ. ბერია** სამხატვრო გამოფენაზე“, სადაც მოცემულია **ლ. ბერიას** მიერ მხატვართა გამოფენის დათვალიერების მომენტი, მხატვართა წრეში.

საგულისხმოა ქართულ მხატვრობაში გიგო გაბაშვილის შემდეგ თითქმის მივიწყებული ბატალური ჟანრის გამოცოცხლება. გამოფენაზე ეს ჟანრი წარმოდგენილია სევ. მაისაშვილის ორი სურათით: ერთია „გიორგი სააკაძე“, რომლის მთავარ თვისებებს წარმოადგენს რთული კომპოზიციის ამოცანის გადაჭრა და ბრძოლაში ჩაბმული მეომრებისა და ცხენების მძაფრი დინამიზმი. მეორეა — „სერგო ორჯონიკიძე ჩრდილოეთ კავკასიაში“, რომელიც თავისი ტონით ცოტათი მოგვაგონებს მე-19 საუკუნის პირველი მეოთხედის ზოგი ფრანგი ოსტატის (გროსი და სხვ.) ბატალურ ტილოებს.

ნატურმორტის ჟანრი ექსპონირებულია მხოლოდ მხატვარ ნალბანდიანის ერთი სურათით — „ციტრუსები“, — რომელიც ყურადღებას იქცევს შესრულების სასიამოვნო მანერით.

აკვარელის ჟანრი წარმოდგენილია დამსახურებული ოსტატის ი. შარლემანის მიერ, რომელმაც მოგვცა ტექნიკურად უმწიკვლოდ შესრულებული ორი სურათი: „დილი თბილისში“ და „აწყური“. განსაკუთრებით საინტერესოა უკანასკნელი სურათი, რომელიც პლასტიურად ბევრს მეტყველებს.

კარგად არის ნაჩვენები გრაფიკაც. აქ პირველ რიგში უნდა დავასახელოთ თამარ აბაკელიას ნახატები, რომელნიც შესრულებულია მხატვრისათვის უაღრესად სპეციფიური და სავსებით უკვე ჩამოყალიბებული მანერით, სადაც შავ ხაზს ფერადებიც უკავშირდებიან (ფერადებიანი გრაფიკა). გარდა ფართო საზოგადოებაში კარგად ცნობილი „ვეფხის ტყაოსნის“ და „დავით სასუნცის“ ილუსტრაციებისა, თ. აბაკელიამ მოგვცა ამ გამოფენაზე ახალი ნახატები, რომელთა შორის თვალს იზიდავს „ყურძნის კრეფა“. იგი პლასტიურად გვიამბობს საქართველოს ბუნების სიუხვეზე და მისი შვილების შრომის და ლხინის სიყვარულზე.

ოსტატობით არის მოცემული ლ. გუდიაშვილის ილუსტრაცია „1001 ღამისათვის“. ამ ილუსტრაციის ფაქიზი მოხაზულობა წარმოადგენს ძველი ქართული ფრესკისა და ირანული მინიატურის ტრადიციების სინტეზს.

სადა მანერით და მხატვრული კეთილსინდისიერებით არის შესრულებული ნ. კეშელავას მიერ ტყვარჩელისადმი მიძღვნილი ნახატების მთელი სერია და ერთი პატარა ნახატი: „ძველი ეზო სურამში“.

წიგნის გაფორმების კულტურის დიდი ცოდნით და მხატვრული ტაქტით არის შესრულებული წიგნის ყდები, მაქსიმ გორკის პორტრეტი და ილუსტრაცია მხატვარ კოჯოიანის მიერ.

დიდი შემოქმედებითი პოტენციის მქონე მხატვარი ც. ქუთათელაძე იძლევა მთელ რიგ ნახატებს, სადაც ავტორის მიერ ფორმა ჯერ კიდევ არ არის ყველგან თანაბრად დაუფლებული.

ქანდაკების სექცია არც ექსპონატების რიცხვით და არც შემოქმედებითი ხასიათის მიღწევებით არ არის ისე მდიდრად წარმოდგენილი, როგორც ფერწერის და გრაფიკის სექციები. ეს მოხდა, ერთის მხრივ იმიტომ, რომ ისეთი ჩვენი მოწინავე მოქანდაკეები, როგორც სახ. მოქანდაკე იაკობ ნიკოლაძე, ნ. კანდელაკი, ვ. თოფურიძე, მიქათაძე და სხვა წარმოდგენილი არიან ამ გამოფენაზე მხოლოდ თითო და ისიც მეტწილად ცნობილი და ფართო საზოგადოების მიერ მრავალჯერ ნახული ნიმუშით; მეორეს მხრივ იმიტომ, რომ ბევრი ახალგაზრდა მოქანდაკე (აბაკელია, სესიაშვილი და სხვ.). სრულებით არ არის წარმოდგენილი ამ გამოფენაზე.

მიუხედავად ამისა, აქაც ვხედავთ საინტერესო ნიმუშებს. უპირველესად ყოვლისა, უნდა დავასახელოთ სახ. მოქანდაკე ი. ნიკოლაძე, რომელმაც მოგვცა საუცხოოდ შესრულებული „ახალგაზრდა **სტალინის** ბიუსტი“, სადაც შეერთებულია საუკეთესო ტრადიციებზე დამყარებული ტექნიკა, მასალის ცოდნა, ადამიანის ბუნების გადმოცემის უნარი, რაც უფლებას გვაძლევს ვსთქვათ, რომ არა მარტო საქართველოს მასშტაბით, არამედ მთელი კავშირის მასშტაბითაც ი. ნიკოლაძის სახით საქმე გვაქვს ბიუსტის დიდ ოსტატთან.

ნიკო კანდელაკი წარმოდგენილია მხოლოდ ერთი ახალი ქანდაკებით — „ამხანაგ **სტალინის** ბიუსტი“-თ, სადაც მოქანდაკემ კარგად აამეტყველა მასალა და მოგვცა საბჭოთა ხალხების ბელადის სახე, რომელიც სავსეა ფოლადისებური ნებისყოფით.

კარგია „ამხანაგ **ლავრენტი ბერიას** ბიუსტი“, რომელიც მოქანდაკე რ. თავაძის მიერ შესრულებულია დიდი ფსიქოლოგიური დაკვირვებით და მომწიფებული ოსტატობით.

ვიმეორებთ, ეს საიუბილეო გამოფენა მოწმობს, რომ სახვითი ხელოვნების ფრონტზე წარმოებული შემოქმედებითი ბრძოლა სწყდება სოციალისტური რეალიზმის სასარგებლოდ, სახვითი ხელოვნების შემოქმედი ძალები შეგნებულად იბრძვიან ხელოვნების ახალი ფორმების, ახალი მხატვრული ენის გამოვლინებისათვის, რასაც ჩვენი დიდი ეპოქა მოითხოვს.

ᲡᲐᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲝ ᲙᲝᲚᲔᲒᲘᲐ:
Ი. ᲐᲑᲐᲨᲘᲫᲔ, Შ. ᲓᲐᲓᲘᲐᲜᲘ, Ს. ᲔᲣᲚᲘ, Გ. ᲚᲔᲝᲜᲘᲫᲔ, Გ. ᲜᲐᲢᲠᲝᲨᲕᲘᲚᲘ,
Შ. ᲠᲐᲓᲘᲐᲜᲘ (ᲞᲐᲡᲣᲮᲘᲡᲛᲒᲔᲑᲔᲚᲘ ᲠᲔᲓᲐᲥᲢᲝᲠᲘ), Ვ. ᲬᲣᲚᲣᲙᲘᲫᲔ.

ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲘᲡ ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲘ: მაჩაბლის ქუჩა № 18, (მწერალთა სახახლე) ტელეფონი 8—47—10.

ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“, თბილისი, ლენინის ქ. № 28.

უე 6029